tsu.media ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან tsu.media

თბილისის

უნივერსიტეტი

6 ივნისი, 2023 სამშაბათი, №4 (2246)

საკალათბურთო გუნდი „თსუ" სუპერლიგის ისტორიაში პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდისთვის მიმდინარე წელი წარმატებული აღმოჩნდა. თსუ-მ მიმდინარე სეზონის ორივე უმაღლესი ტიტული — საქართველოს თასი და სუპერლიგა მოიგო. თსუ-ს კალათბურთელებმა ორივე თასი მოიტანეს უნივერსიტეტში, სადაც ჩემპიონებს საზეიმო დახვედრა მოუწყვეს. ღონისძიებას თსუ-ს სტუდენტები, პროფესორები, ადმინისტრაციის თანამშრომლები, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, გულშემატკივრები ესწრებოდნენ.

თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ საკალათბურთო კლუბის „თსუ"-ს კალათბურთელები, სამწვრთნელო შტაბი და მენეჯმენტის წარმომადგენლები უნივერსიტეტის მედლებით დააჯილდოვა. „ჩვენი კალათბურთელების წარმატება საქართველოს თასის მოპოვება და სუპერლიგის მოგება არის ძალიან კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ვითარდებოდეს საუნივერსიტეტო სპორტი საქართველოში. ვულოცავ ჩვენს უნივერსიტეტს და სრულიად საქართველოს თსუ-ს ასეთ მნიშვნელოვან გამარჯვებას", — განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდი „თსუ" სუპერლიგის ისტორიაში პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი. „გუნდისთვის ძალიან საინტერესო სეზონი იყო, მოვიგეთ როგორც საქართველოს თასი, ასევე, ეროვნული ჩემპიონატი. ჩვენმა გუნდმა ისტორიაში პირველად მოიპოვა ეროვნული ჩემპიონობა. მიხარია ყველა იმ ადამიანის ემოცია, ვინც მთელი სეზონის განმავლობაში მხარში გვედგა", — აღნიშნა თსუ-სა და საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელმა გიორგი ცინცაძემ.

„ძალიან დიდი წვლილი აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს კალათბურთის განვითარებაში. უკვე ათწლეულებია გუნდი არსებობს და ეს მონაპოვარი, ეს ჩემპიონობა დიდი შრომის შედეგია, სრულიად დამსახურებულია. გუნდის შემადგენლობაც ძალიან ძლიერი და გამოცდილია. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საუნივერსიტეტო გუნდია და სტუდენტები გულშემატკივრობენ. იმედი მაქვს, ამ გამარჯვებით არ დაკმაყოფილდებიან და სხვა წარმატებებისთვისაც იბრძოლებენ. ჩვენი ფედერაცია ყოველთვის გვერდში დაუდგება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონებს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ითამაშონ", — განაცხადა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვიქტორ სანიკიძემ.

სეზონის საუკეთესო მოთამაშედ სპორტულმა ჟურნალისტებმა, სუპერლიგის მწვრთნელებმა, კომისრებმა და მსაჯებმა თსუ-ისა და საქართველოს ნაკრების წევრი გიორგი ცინცაძე დაასახელეს, ხოლო სეზონის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული ლექსო ლაფანაშვილმა მოიპოვა.

ნომერში

■ რა სიახლე გააცნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გიორგი ამილახვარს თსუ-ში სტუმრობისას გვ. 2

■ თსუ-ს ყველა სასწავლო კორპუსი თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვება გვ. 2

■ თსუ-ს სტუდენტებს სახელმძღვანელოების ელექტრონულ ვერსიებზე წვდომა ექნებათ გვ. 2

■ აუქციონი თსუ-ში კვების ობიექტების მოწყობაზე გვ. 2

▶ რექტორის სტუდენტებთან შეხვედრაზე ახალი ინიციატივები გახმიანდა გვ. 5

▶ თსუ-ს სტუდენტური კაპელა საერთაშორისო ფესტივალის გრან პრის მფლობელია გვ. 5

▶ თსუ-ს მეცნიერებმა ნახშირბადოვანი სორბენტების მიღების უნიკალური მეთოდი შეიმუშავეს გვ. 13

■ აკადემიკოს ირაკლი იმედაძის ნამოღვაწარით ფსიქოლოგიის დარგში მთელი საქართველო „იკვებება" გვ. 14

გვ. 5-12 სტუდენტური ფურცელი

რა სიახლე გააცნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გიორგი ამილახვარს თსუ-ში სტუმრობისას

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები გააცნო თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გიორგი ამილახვარს თსუ-ში სტუმრობისას. მათ შორის, ის სივრცე დაათვალიერებინა, სადაც უნივერსიტეტის ახალი სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსი უნდა აშენდეს. ახალი კორპუსი უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდება და მისი მშენებლობა სრულად ფინანსდება თსუ-ს ბიუჯეტიდან. გარდა ამისა, ტერიტორიაზე მოეწყობა სტუდენტური სივრცეები.

თსუ-ს პირველი კორპუსი დაპროექტებულია ქართველი არქიტექტორის სვიმონ კლდიაშვილის მიერ, ხოლო მეორე კორპუსი — მიხეილ შავიშვილის მიერ. ვინაიდან ტერიტორია შენობებთან ერთად წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, საპროექტო კონცეფცია არქიტექტურული გადაწყვეტით, რაც მდებარეობას, მოცულობით გადაწყვეტას, მასშტაბს, კონფიგურაციას, სართულიანობას, დიზაინს და სხვა დეტალებს გულისხმობს, უნდა შემუშავდეს მოცემული ტერიტორიის კონკრეტული მახასიათებლების და ამავე ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის რეკომენდაციების შესაბამისად.

პროექტირებისას, ასევე, გასათვალისწინებელია რთული ლანდშაფტის თავისებურებები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან თავსებადობა. ახალი შენობა ჰარმონიულად უნდა ეწერებოდეს გარემოში როგორც ვიზუალურად, ასევე, ფუნქციურად უნდა პასუხობდეს დანიშნულებას; არ უნდა უშლიდეს ხელს საუნივერსიტეტო კომპლექსის მთავარი ნაგებობების აღქმას და არ უნდა შეიცვალოს ისტორიულად ჩამოყალიბებული ლანდშაფტი.

ახალი შენობის არქიტექტურული პროექტის მომზადებისთვის უკვე გამოცხადდა ღია კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია. გამარჯვებულ საკონკურსო წინადადებას გამოავლენს პროფესიონალი არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეების და უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან შემდგარი კომისია.

თსუ-ს სტუდენტებს სახელმძღვანელოების ელექტრონულ ვერსიებზე წვდომა ექნებათ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს სახელმძღვანელოების ელექტრონულ ვერსიებზე წვდომა ექნებათ. თსუ-ს რექტორის, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას ინიციატივით, თსუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის წარმომადგენლები სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული სახელმძღვანელოების სრულად გაციფრულებაზე იმუშავებენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით ჯაბა სამუშია თსუ-ს ბიბლიოთეკების წარმომადგენლებს შეხვდა და ერთად იმსჯელეს იმ გამოწვევების შესახებ, რაც სახელმძღვანელოების გაციფრულების პროცესს შეიძლება თან ახლდეს.

თსუ-ს რექტორის ინფორმაციით, თსუ-ს ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე შეიქმნება სივრცე, სადაც სტუდენტები შეძლებენ მოიძიონ სასწავლო მასალების ციფრული ვერსიები. „პორტალი იქნება ახალგაზრდებისთვის მოსახერხებელი, მარტივი ნავიგაციით, სადაც საგნების მიხედვით განთავსდება სახელმძღვანელოები, სილაბუსები, სტატიები“, — აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

საავტორო უფლებების გათვალისწინებით, ელექტრონული სახელმძღვანელოები აიტვირთება დახურულ სივრცეში, რომელზეც მხოლოდ თსუ-ს სტუდენტებს ექნებათ წვდომა.



თსუ-ს ყველა სასწავლო კორპუსი თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო აუდიტორიების კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა დაიწყო. განახლებული საგანმანათლებლო ტექნიკა თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ლაშა საღინაძესთან ერთად დაათვალიერა.

ახალი ტექნიკის შეძენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა. პირველ ეტაპზე, თსუ-ს პირველ და მეორე სასწავლო კორპუსის აუდიტორიებში დამონტაჟდა უახლესი (All in one) კომპიუტერები, განთავსდა ინტერაქტიული დაფები (smart board) და პროექტორები. შემდეგ ეტაპზე კი იგეგმება თსუ-ს ყველა სასწავლო კორპუსის კომპიუტერული ტექნიკით განახლება.

აუქციონი თსუ-ში კვების ობიექტების მოწყობაზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსებში კვების ობიექტების მოწყობაზე აუქციონი გამოცხადდა. კვების ობიექტებში, რომელიც მოეწყობა თსუ-ს მე-2, მე-5, მე-6, მე-10 (მაღლივი) და მე-11 (განივი) კორპუსებში, სტუდენტები შეღავათიანი ფასებით ისარგებლებენ.

აუქციონის პირობების თანახმად, კვების ობიექტების ყოველდღიურ მენიუში წარმოდგენილი იქნება არანაკლებ 8 სახეობის პროდუქცია, რომელიც სტუდენტებში ყველაზე მოთხოვნადია. ამ პროდუქციის ჩამონათვალი თავად სტუდენტებმა შეარჩიეს. მათგან ყოველდღიურად მინიმუმ 4 დასახელების პროდუქციაზე გავრცელდება არანაკლებ 25-პროცენტიანი ფასდაკლება.

ამასთან, კიდევ ერთი აუქციონი გამოცხადდება — თსუ-ს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გაიხსნება კვების ობიექტი, სადაც განთავსდება ლიტერატურული კაფე.

თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა საღინაძის განცხადებით, თსუ-ს ადმინისტრაციამ აუქციონის პირობებში სპეციალური პუნქტი ჩადო, რომლის მიხედვითაც, თსუ-ს სტუდენტებს კვების ობიექტებში დასაქმებაში ხელი შეეწყობათ. ასევე, მომავალში იგეგმება კვების ობიექტებში საბარათე სისტემის დანერგვა. ბარათების საშუალებით თსუ-ს სტუდენტები ფასდაკლებებით ისარგებლებენ.

ᲗᲡᲣ-ᲨᲘ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რექტორების მუდმივმოქმედი კონფერენციის მერვე სხდომა გაიმართა, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი ამილახვარი, თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის თავმჯდომარე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი დავით გურგენიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ პაპუკაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ მახარაშვილი, სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების რექტორები და სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

რექტორთა კონფერენცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გიორგი ამილახვარის ხელმძღვანელობით წარიმართა. მინისტრმა კონფერენციის მონაწილეებთან ერთად უმაღლესი განათლების განვითარების მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა. მათ შორის, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით ერთობლივი და ორმაგი ხარისხის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების წახალისებაზე, უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელის ცვლილებაზე, უცხოელ სტუდენტებთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებზე იმსჯელეს. მინისტრის თქმით, შეხვედრებს ექნება პერმანენტული ხასიათი. „სხვადასხვა უნივერსიტეტში პერიოდულად შევიკრიბებით, რათა რექტორებთან ერთად ვიმსჯელოთ ყველა იმ საკითხზე და გამოწვევაზე, რაც უმაღლეს განათლებაში დგას და მათთან ერთად, მათი ჩართულობით, მივიღოთ სწრაფი და სწორი გადაწყვეტილებები. უმაღლეს განათლებაში აქტიურად უნდა გავხსნათ კარები, რომ შემოვიდეს მეტი დასავლური ხარისხიანი განათლება. მსოფლიოში უმაღლეს განათლებას საზღვრები აღარ აქვს. დისტანციური სწავლების კომპონენტების აქტიურად გამოყენება, ორმაგი და ერთობლივი პროგრამები — ეს არის ჩემი ხედვა," — აღნიშნა გიორგი ამილახვარმა.

თსუ-ს რექტორის, ჯაბა სამუშიას თქმით, უმაღლესი განათლების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის ფორმატის ეფექტიანად გამოყენება. „განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორებთან შეხვედრაზე განვიხილავთ იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც აწუხებს უნივერსიტეტებს, მათ შორის, უნივერსიტეტების დაფინანსების თემას", — აღნიშნა თსუ-ს რექტორმა.

რექტორთა კონფერენცია წლის განმავლობაში რამდენჯერმე იკრიბება და მასზე რექტორები ერთობლივად განიხილავენ უმაღლესი განათლების განვითარებისა და ხარისხის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს. მინისტრის ინფორმაციით, შემდეგი შეხვედრა ქუთაისში გაიმართება.

ᲗᲡᲣ-Ს ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲔᲛᲘᲜ ᲐᲛᲠᲣᲚᲐᲔᲕᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲬᲕᲘᲐ

ვიზიტის ფარგლებში თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნოდარ პაპუკაშვილმა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ემინ ამრულაევმა და აზერბაიჯანის დიპლომატიური აკადემიის უნივერსიტეტის (ADA University) რექტორმა ჰაფიზ პაშაევმა უნივერსიტეტის მეორე კორპუსში „ჰეიდარ ალიევის" სახელობის განახლებული აუდიტორია გახსნეს.

„ეს აუდიტორია სამომავლოდ აზერბაიჯანმცოდნეობის ცენტრად იქცევა, ვინაიდან აზერბაიჯანსა და საქართველოს ძალიან კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს და ეს ურთიერთობები აუცილებელია, როგორც სამეცნიერო, ასევე, საგანმანათლებლო სფეროშიც კიდევ უფრო გაღრმავდეს. აუცილებელია ერთობლივი კვლევების განხორციელება იმ კულტურული მემკვიდრეობის, რომელიც ამ ორ ქვეყანას აქვს და სწორედ ამ მიმართულებით ვგეგმავთ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას", — აღნიშნა თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ.

„ჩვენ ვქმნით მომავალს — ქართველი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდები და პროფესორები დიდ სარგებელს მიიღებენ ამ კაბინეტის გახსნით, რადგან ეს ხელს შეუწყობს ჩვენს შორის საგანმანათლებლო ურთიერთობების გაღრმავებასა და განვითარებას", — აღნიშნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ემინ ამრულაევმა.

ᲡᲐᲜ ᲓᲘᲔᲒᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ

თსუ-სა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადადის. პარტნიორობის არსებული ფორმების კიდევ უფრო გაძლიერებისა და განვითარების მიზნით, თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ და სან დიეგოს უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ადელა დე ლა ტორემ მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ასევე, ხელი მოეწერა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადმოცემის დოკუმენტს.

მემორანდუმის საფუძველზე იგეგმება პროგრამების განვითარება-შემუშავება ქართველი მეცნიერების კვლევითი შესაძლებლობების გასაზრდელად და საერთაშორისო სტანდარტებთან დასაახლოებლად, სამეცნიერო და ტექნოლოგიური სასწავლო პროგრამების ჩათვლით; ახალ და არსებულ ერთობლივ სამეცნიერო და ტექნოლოგიურ კვლევით პროექტებთან დაკავშირებით თანამშრომლობა; მეცნიერების, ტექნოლოგიების, საინჟინრო საქმის და მათემატიკის (STEM), ზოგადი განათლების და სკოლამდელი განათლების მიმართულებით თანამშრომლობა; აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მობილობა მოკლევადიანი პროექტებით, საზაფხულო სკოლებით, ტრენინგებით, გადამზადების კურსებით და კვლევითი თანამშრომლობით; STEM-ის მიმართულებით თსუ-სა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ორმაგი დიპლომის პროგრამის მომზადება და განხორციელება; თსუ-ს ქართულენოვანი ქიმიის პროგრამისათვის ამერიკის ქიმიის ასოციაციის აღიარების მოპოვების მიზნით თანამშრომლობა; თანამშრომლობა სადოქტორო პროგრამებზე და ერთობლივი ხელმძღვანელობისათვის ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვისათვის.

„სწორედ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით მოხერხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ლაბორატორიების აღჭურვა როგორც ქიმიის, ასევე ფიზიკის მიმართულებით. ლაბორატორიები უნიკალურია და რეგიონში არის ერთ-ერთი საუკეთესო. ეს პირდაპირპროპორციულადაა დაკავშირებული სწავლებასთან, სტუდენტების განათლებასთან. დღეს ჩვენ სტუდენტებს ვთავაზობთ იმ თანამედროვე პირობებს სწავლისათვის, რაც მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებშია. უნივერსიტეტის როლია, ის ბაზა, რაც უკვე არსებობს, კიდევ უფრო განვავითაროთ, და ის თანამშრომლობა, რომელიც დაწყებულია სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, კიდევ უფრო გაფართოვდეს", — აღნიშნა თსუ-ს რექტორმა.

* * *

წელს, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებს საქართველოში 103 კურსდამთავრებული ჰყავს, რომლებიც მზად არიან ჩაერთონ ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის ინიცირებული პროექტების განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე გამოშვების 66% სწავლას ნარჩინებით ასრულებს და კურსდამთავრებულთა 40% ქალია, რაც სდსუ საქართველოს მიერ აქამდე განხორციელებული STEM დარგებში ქალთა ჩართულობის გაზრდისკენ მიმართული აქტიური ღონისძიებების შედეგია.

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ ᲒᲝᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲗᲡᲣ-Ს ᲡᲢᲔᲜᲓᲘ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. საგანმანათლებლო პროგრამებთან და პროფესიულ სწავლებასთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან ერთად, თსუ-ს შემეცნებითგასართობმა აქტივობებმა გორის ცენტრალურ მოედანზე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

იმიტირებული არქეოლოგიური გათხრები, ბიოლოგიური ექსპერიმენტები, შემეცნებითი ვიქტორინები და სახალისო თამაშები შესთავაზა თსუ-მ ღონისძიებაზე მოსულ ახალგაზრდებს.

თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ ვიქტორინებსა და სახალისო თამაშებში გამარჯვებულები დააჯილდოვა და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

გორში წარმოდგენილი თსუ-ს სტენდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ამილახვარმა დაათვალიერა.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲝᲑᲐ ᲗᲡᲣ-ᲨᲘ

აფხაზეთზე, მის წარსულსა და დღევანდელობაზე, აფხაზ ხალხთან მეგობრობაზე, ქვეყნის გაერთიანებაზე ისაუბრეს აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. ღონისძიებას თსუ-ს რექტორი ჯაბა სამუშია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი დავით ფაცაცია, თსუ-ს სტუდენტები და პროფესორები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე გამოიფინა აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების ნახატები, რომელიც აფხაზეთის თემატიკას ეხებოდა.

„ვიდრე ჩვენი ქვეყანა არ გაერთიანდება, ტკივილი, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია, იქნება მოუშუშებელი. აფხაზეთი, განსაკუთრებით ჩვენი თაობისთვის, არის უდიდესი ტკივილი, რადგან ჩვენ შევესწარით იმ დიდ ტრაგედიას, რასაც აფხაზეთის ომი ჰქვია. ეს არ იყო აფხაზებსა და ქართველებს შორის ომი, ეს იყო რუსეთისა და საქართველოს ომი. მინდა, დღეს აქედან შევუთვალოთ ჩვენს ძმებს, აფხაზებს, რომ ჩვენ ერთნი ვართ", — განაცხადა თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ „აფხაზეთობის" დღის ფარგლებში სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე.

ღონისძიება — „აფხაზეთობა თსუ-ში" „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტოსა" და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიება თსუ-ს ანსამბლის „უნივერსიტეტის" მიერ შესრულებული აფხაზური სიმღერით გაიხსნა, თსუ-ს ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი" კი აფხაზური ცეკვით წარსდგა.

ᲠᲐ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲡᲘᲠᲘᲝᲚᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲛᲐ ᲗᲡᲣ-Ს ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲡ

ქართველი ასირიოლოგების პირადი ნივთები, ფოტოები, ხელნაწერები, დოკუმენტები და სხვადასხვა უნიკალური ნივთები გამოიფინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ს ასირიოლოგიის კათედრის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. გამოფენა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასირიოლოგიის კათედრის, თსუ-ს მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ორგანიზებით გაიმართა.

„თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 75 საგანმანათლებლო პროგრამა მუშაობს, ჩვენ ყველა პროგრამის განვითარებაზე ვზრუნავთ, ამ პროგრამებს შორისაა ისეთებიც, რომლებიც კომერციული თვალსაზრისით მომგებიანი არ არის, მაგრამ ეს პროგრამები არასოდეს შეგვიფასებია ამ თვალსაზრისით. ჩვენ ვზრუნავთ ასირიოლოგიის, როგორც დარგის განვითარებაზე. ძალიან ბევრ უნივერსიტეტს არ აქვს ამის ფუფუნება. ახლახან, ასირიოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებმა გაიარა აკრედიტაცია და სექტემბრიდან უკვე კვლავ ველოდებით სტუდენტებს", — აღნიშნა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა.

ცნობილი ენათმეცნიერის თამაზ გამყრელიძის ჩიკაგოს პროფესორობისდროინდელი მანტია, მიხაკო წერეთლის ჟილეტი და სამელნე, ჯემალ შარაშენიძისა და გიორგი მელიქიშვილის მემორიალური ნივთები, ასევე, რარიტეტული წიგნი მიხაკო წერეთლის „გილგამეშიანის" 1924 წლის გამოცემა და სხვა უნიკალური ნივთები ქართველი ასირიოლოგების შთამომავლებმა თსუ-ს მუზეუმს საჩუქრად გადასცეს.

გვერდი მომზადებულია თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე

ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲗ, ᲒᲕᲜᲐᲮᲔᲡ, ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲒᲒᲕᲐᲬᲝᲜᲔᲡ, ᲩᲕᲔᲜᲪ ᲛᲝᲕᲔᲬᲝᲜᲔᲗ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲕᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲗ!

ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

27 მაისს სტრასბურგის უნივერსიტეტის ჟურნალისტური განათლების საუნივერსიტეტო ცენტრის (CUEJ) მაგისტრანტთა ჯგუფმა, რომელიც თითქმის ერთი თვის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს შესახებ ბეჭდური და რადიო პროდუქტის შესაქმნელად მუშაობდა, მზა პროდუქცია – ჟურნალი, ტელესიუჟეტები და რადიო პოდკასტები წარუდგინა აუდიტორიას. პროექტის შემაჯამებელ პრეზენტაციას ესწრებოდნენ როგორც ფრანგი, ასევე ქართველი სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტთა ერთი ჯგუფი, რომელიც კონკურსის წესით შეირჩა ამ პროექტში მონაწილეობისთვის. მასში ასევე მონაწილეობდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მაგისტრანტები.

აუდიტორიას მიმართეს თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა სალომე დუნდუამ, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა მანანა შამილიშვილმა, თსუ-ს მოწვეულმა ლექტორმა, რეჟისორმა ნათია რაჭველიშვილმა, ასოცირებულმა პროფესორებმა მაია ტორაძემ და ნათია კუპრაშვილმა, პროექტში ჩართულმა სტუდენტმა საბა სამუშიამ.

ღონისძიება წარმართა თსუ-ს ასისტენტ-პროფესორმა თინათინ მაჭარაშვილმა, რომლის წვლილი პროექტის განხორციელებაში დიდია, რადგან ის თავად მონაწილეობდა სტრასბურგის უნივერსიტეტის მიერ 2003 წელს საქართველოში განხორციელებულ მსგავს პროექტში, რომელმაც მისი მომავალი განსაზღვრა – ის გახლავთ ამ სკოლის კურსდამთავრებული და ფრანგული ექსპედიციის მთავარი მასპინძელი.

News d, in Georgie L'équilibriste – ასე დაარქვეს ფრანგმა სტუდენტებმა ჟურნალს, რომელიც დარბაზს მისმა რედაქტორმა ოდრე სენეკალმა (Audrey Senecal) წარუდგინა. სტუდენტებმა ასევე აჩვენეს ონლაინ პროდუქტი, ტელეპროდუქციის და რადიო პოდკასტების ნაწილი.

„ეს პროექტი ორივე მხარისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო, რადგან ქართველი სტუდენტები ფრანგ კოლეგებთან ერთად მუშაობდნენ და ბევრ სიახლეს აუღეს ალღო. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი სტუდენტებიც ბევრ რამეს ასწავლიდნენ თანატოლებს. ეს ორმხრივად პროფესიული განვითარებისა და გამოცდილების გაზიარების ძალიან კარგი საშუალება იყო", – აღნიშნა სალომე დუნდუამ.

„მადლობა უნდა ვუთხრა პროექტის მონაწილე სტუდენტებს, რომლებმაც ფრანგი თანატოლების გვერდით თანაბარწილად (ზოგჯერ მეტადაც) იშრომეს, მეგზურობა გაუწიეს მათ და ღამეები ათენეს მასალაზე მუშაობაში. მათი მონდომება, აქტიურობა და სანიმუშო უნარები არც ფრანგი კოლეგებისთვის დარჩა შეუმჩნეველი. ისინიც კმაყოფილებით აღნიშნავდნენ ჩვენი ახალგაზრდების ნიჭიერებასა და მათ შესაძლებლობებს. ერთობლივი მუშაობის შედეგები იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ ჩვენი სკოლების სამომავლო ურთიერთობების პერსპექტივებზეც დაიწყო საუბარი. დიდი იმედი მაქვს, სიტყვა მალე იქცევა საქმედ და ჩვენს შესანიშნავ სტუდენტებს მიეცემათ საშუალება – მედიაგანათლების სიკეთეებს საფრანგეთშიც ეზიარონ", – გვითხრა მანანა შამილიშვილმა, რომელმაც განსაკუთრებული მადლიერება გამოთქვა მიმართულების პროფესორ-მასწავლებლების, განსაკუთრებით კი ასოცირებული პროფესორის, ხათუნა მაისაშვილის, თანადგომისა და პროექტის მიმდინარეობის პროცესში ჩართულობის გამო.

შემაჯამებელ ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნა თსუ-ს მულტიმედია ცენტრის მიერ ქართულ-ფრანგული პროექტის შესახებ გადაღებული ფილმის თიზერი და სტუდენტური სასწავლო ჟურნალი „გზავნილი სტრასბურგს", რომელიც საგან „ბეჭდური მედია – პრაქტიკუმის" ფარგლებში მოამზადეს თსუ-ს სტუდენტებმა.

რეჟისორმა ნათია რაჭველიშვილმა თავის გამოსვლაში მადლობა გადაუხადა თსუ-ს მულტიმედია ცენტრს და მის ხელმძღვანელს მარინა სალუქვაძეს გაწეული დახმარებისთვის. მან სტუდენტებთან – ზანდა გედენიძესთან, მარიამ ქართველიშვილთან, ლიზა ჩაჩანიძესთან და ლილე სამუშიასთან ერთად, აუდიტორიას მცირე მონაკვეთი უჩვენა ფილმიდან, რომელიც ფრანგების საქართველოში სტუმრობას ეხება და რომელიც ჯერ მზადების პროცესშია. „ივნისის ბოლოს შეგვეძლება მთლიანი ფილმი წარვუდგინოთ საზოგადოებას და უკეთ გავაცნოთ თსუ-ს სტუდენტების ის ძალისხმევა, რომელიც საბოლოო პროდუქტის მომზადებაში ჩადეს", – აღნიშნა მან.

ფრანგ სტუმრებს თსუ-ს სტუდენტური-სასწავლო ჟურნალი „გზავნილი სტრასბურგს" წარუდგინეს ნომრის რედაქტორებმა გვანცა პავლიაშვილმა და სალომე სიმონიამ. აღინიშნა, რომ რედაქცია გეგმავს მომზადებული მასალების ფრანგულ ენაზე თარგმნას და ჟურნალის ორენოვანი ვერსიის ფრანგი კოლეგებისთვის მიწოდებას.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ჟურნალში „გზავნილი სტრასბურგს", სხვა მასალებთან ერთად, დაიბეჭდა პროექტის ხელმძღვანელის, სტრასბურგის უნივერსიტეტის ჟურნალისტური განათლების საუნივერსიტეტო ცენტრის პროფესორის, ალენ პიტერის ინტერვიუ, რომელშიც იგი მადლობას უხდის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ქართველ სტუდენტებს ჩართულობისა და დახმარებისთვის: „ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ქართველ სტუდენტებს ჩვენთან ერთად მუშაობის ძლიერი მოტივაცია ჰქონდათ. ვფიქრობ, ისინი ხედავენ, რომ ამგვარი თანამშრომლობა ცოცხალი გზაა ჟურნალისტური პრაქტიკისთვის. უნდა ვთქვა ისიც, რომ ისინი ინგლისურად ძალიან კარგად საუბრობენ, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს ჩვენს ურთიერთობებს. რაც შეეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მოლოდინები სრულიად გამართლდა. თსუ თავიდანვე მიესალმა სტრასბურგის უნივერსიტეტის მედიასკოლის ინიციატივას. ჩვენ მივიღეთ ყველაფერი, რაც გვჭირდებოდა – სტუდენტები, რომლებიც ჩვენთან ერთად იმუშავებდნენ და აუდიტორიები ჩვენი ნიუსრუმებისთვის", – განაცხადა მან ჟურნალ „გზავნილთან" საუბარში.

„ჩვენმა სტუდენტებმა კიდევ ერთხელ იგრძნეს ევროპელი თანატოლების თანადგომისა და მტკიცე მეგობრობაში გადაზრდილი ურთიერთობის ძალა; ეს არის სწორედ ევროპელთა ზრუნვის სიკეთე – გასცემენ, ხელს გაშველებენ, გასწავლიან – უკეთესი რომ გახდე, ფეხზე მყარად დადგე, იშრომო და ასე მიაღწიო სასურველ მიზანს. ჩვენმა ფრანგმა მეგობრებმა კვლავაც გვაგრძნობინეს ევროპასთან სიახლოვის ძალა – მოვიდნენ, გვნახეს, თავი მოგვაწონეს, ჩვენც მოვეწონეთ და ყველამ ერთად გავიმარჯვეთ!" – ასე დაასრულა შეხვედრა პროფესორმა მანანა შამილიშვილმა, რომელმაც კიდევ ერთხელ შეახსენა აუდიტორიას იმ სტუდენტების სახელები, რომლებმაც თავიანთი ძვირფასი დრო ფრანგულ-ქართული პროექტის წარმატებისთვის უშურველად გაიღეს. ესენი არიან: ზანდა გედენიძე, გიგი დიღმელაშვილი, ნინი შავლაძე, მარიამ ქართველიშვილი, ლიზა ჩაჩანიძე, გიორგი ბრეგვაძე, მადინა აშურულოვა, გიორგი დემეტრაშვილი, მარიამ ყვავაძე, საბა ჩიტიაშვილი, თამთა ძველაია, ეკა ხოფერია, სალომე კაიშაური, ანამარია შეყილაძე, ნიკა გვასალია, ანა გურეშიძე, ლუკა ტუღუში, ნატა კონცელიძე, ირაკლი ზუხბაია, ალექსანდრე სოსელია, მუნა ბატჩაევა, მარიამ მთივლიშვილი, ლილე სამუშია, თამთა ჩხაიძე, ნათია სირაძე, სალომე მეხრიშვილი, დიანა ცეცხლაძე, ელიზა ეფაძე, ანა ბაჟუნაიშვილი, მარიამ ხალვაში, გვანცა ზაქაშვილი, საბა სამუშია.

ღონისძიების დასასრულ, ქართულმა მხარემ სიმბოლური საჩუქრები გადასცა ფრანგული პროექტის მონაწილე სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.

კომუნიკაცია შედგა. ახლა დგება დრო, როცა ამ ურთიერთობას კიდევ უფრო მყარი და კონკრეტული ნაბიჯები უნდა მოჰყვეს.

> ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲝᲢᲘᲕᲐᲪᲘᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ. ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲮᲔᲓᲐᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲒᲖᲐᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

სტუდენტური ფურცელი

tsu.media

რექტორის სტუდენტებთან შეხვედრაზე ახალი ინიციატივები გახმიანდა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯაბა სამუშია სტუდენტებთან შეხვედრებს აგრძელებს. ამჯერად, რექტორი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდა და მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მოისმინა. თავის მხრივ, რექტორმა სტუდენტებს ის ინფრასტრუქტურული სიახლეები გააცნო, რაც მათ ფაკულტეტზე იგეგმება.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი შენობის მშენებლობის საკითხს, რომელიც ადმინისტრაციასთან ერთად სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს დაეთმობა. ამ ეტაპზე გამოცხადებულია პროექტირების კონკურსი, რომელშიც ჩართულები არიან ხელოვნებათმცოდნეები, ურბანისტები, არქიტექტორები. კონკურსის დასრულებისთანავე მოეწყობა პროექტების საჯარო განხილვა, რომელშიც სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას.

გარდა ამისა, რექტორის ინფორმაციით, გარემონტდება თსუ-ს მეექვსე კორპუსი, სადაც ამ ეტაპზე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტია განთავსებული. კორპუსი აღიჭურვება თანამედროვე ტექნიკით და ინვენტარით. მათ შორის, ფაკულტეტს უკვე გადაეცა 6 კომპიუტერი და ინტერაქტიული დაფა. ასევე, გარემონტდება თსუ-ს IV კორპუსი, სადაც მოეწყობა სივრცეები პროფესორებისთვის.

შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა სტუდენტური საცხოვრებლის მშენებლობასა და საგამოცდო ცენტრის შენობის საკითხზეც, რომლის სრული რემონტი ზაფხულში იგეგმება. რექტორის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში საგამოცდო ცენტრი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა და საგამოცდო პროცესი სრულად კომპიუტერების გამოყენებით წარიმართება.

სტუდენტებთან საუბრისას ყურადღება გამახვილდა, ასევე, ბილინგვური სწავლების შემოღებაზე, ენების შემსწავლელი ცენტრის რეფორმაზე, სახელმძღვანელოების თარგმნის პროცესში სტუდენტების ჩართულობაზე. ხაზგასმით აღინიშნა სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობები. რექტორის ინიციატივით, თსუ-ს სტუდენტები საელჩოებში, საკონსულოებში და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში გაივლიან სტაჟირებას. ასევე, შეიქმნება სოციოლოგი სტუდენტების ჯგუფი, რომლებიც ჩაატარებენ კვლევებს ფაკულტეტებზე არსებული პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ — აღნიშნული პრაქტიკა ჩაითვლება სტაჟირებაში და იქნება ანაზღაურებადი.

შეხვედრაზე, ასევე, ისაუბრეს სტუდენტურ პროექტებზეც, რომელთა დაფინანსებაზე წელს 800 ათასი ლარია გამოყოფილი. რექტორის ინფორმაციით, მომავალი წლიდან სტუდენტების წახალისების მიზნით, იგეგმება სტუდენტური პროექტების ბიუჯეტის კიდევ უფრო გაზრდა.

თსუ-ს სტუდენტური ჯაპელა საერთაშორისო ფესტივალის გრან პრის მფლობელია

ნაბო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კაპელა მე-19 საერთაშორისო საგუნდო ფესტივალის Mundus Cantat 2023 გამარჯვებული და გრან პრის (The Grand Prix) მფლობელი გახდა. უნივერსიტეტის სტუდენტური გუნდი ლაშა მიროტაძის ხელმძღვანელობით ფესტივალზე Mundus Cantat 2023 საქართველოს სახელით მონაწილეობდა. კონკურსის მასპინძელი ქვეყანა კი პოლონეთი იყო.

კონკურსში მონაწილეობას 11 ქვეყნის, მათ შორის, აშშ-ის, ლიეტუვის, ჩეხეთის რესპუბლიკის, ისრაელის, პოლონეთის და სხვა ქვეყნების წარმომადგენელი გუნდი იღებდა.

Mundus Cantat 2023-ის კონკურსი ორ ტურად გაიმართა და ფინალურ ეტაპზე, საქართველოსთან ერთად, აშშ-ის, ჩეხეთის რესპუბლიკის და პოლონეთის წარმომადგენელი გუნდები გადავიდნენ. საერთაშორისო ფესტივალზე გუნდები 3 კატეგორიაში მონაწილეობდნენ: საეკლესიო, ფოლკმუსიკა, გოსპელი და ჯაზი. კატეგორიებში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ დიპლომებით. ფინალურ – გრან პრის ეტაპზე თითოეულ კონკურსანტ გუნდს უნდა წარმოედგინა ორი ნაწარმოები, რომელთაც თავად შეარჩევდნენ.

„მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტს და თსუ-ს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, რადგან მათი მხარდაჭერის გარეშე ჩვენი კონკურსზე წასვლა ნამდვილად არ გამოვიდოდა.

რაც შეეხება უშუალოდ კონკურსს, კონკურსანტი გუნდები იყვნენ ამერიკიდან, ლატვიიდან, ისრაელიდან, ჩეხეთიდან... არა მარტო ევროპიდან, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ვესწრებოდით ყველა მონაწილის გამოსვლას, ვუსმენდით, არაჩვეულებრივი გუნდები იყვნენ – აკადემიური და პროფესიონალური შესრულებით გამოირჩეოდნენ. თუმცა, უკვე მეორე ტურში, სადაც ოთხი გუნდი გადავიდა, ჟიურიმ ერთხმად გრან პრის მფლობელად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კაპელა დაასახელა. ჩვენი ფინალური პროგრამა ორ ნაწარმოებს ითვალისწინებდა – იოსებ კეჭაყმაძის „კეკელ-ჯან“ და „ავე მარია“. მე მომენიჭა კონკურსის საუკეთესო დირიჟორის წოდება და ასევე გადმოგვეცა დიპლომი ნომინაციაში – „ხალხის სიმპათია“ – გამარჯვებისთვის. თსუ-ს სტუდენტური კაპელა გახდა კონკურსის მთავარი სპონსორის – კომპანია „ზიაია“-ს რჩეულიც.

ამ ეტაპზე ჩვენი გეგმები ძალების აღდგენას უკავშირდება, თუმცა თსუ-ს კაპელა ემზადება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიმნის შესასწავლად, რომელზეც კონკურსია გამოცხადებული. რეპეტიციებს ვაგრძელებთ. არ ვჩერდებით. ორიენტირებულები ვართ წინსვლაზე“, – ამბობს თსუ-ს კაპელას ხელმძღვანელი, დირიჟორი ლაშა მიროტაძე.

ფესტივალის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო აფრო-ამერიკული მუსიკის თემატიკაზე გამართულ სემინარში, რომელსაც ჰარდინგის უნივერსიტეტის პროფესორი კლიფ განუსი ატარებდა. კაპელა, ასევე, დაესწრო შეხვედრას თემაზე – ქართული თანამედროვე საგუნდო მუსიკა, რომელსაც ატარებდა ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი ლიანა ჭონიშვილი.

სტუდენტი ჰუმანიტარების სამეცნიერო კონფერენციის აქტუალური საკითხები

ნატო ობოლაძე

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორ იუზა ევგენიძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია – „ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები" – გაიმართა. კონფერენციაზე 7 მოხსენება მოისმინეს. სტუდენტებმა სხვადასხვა ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში მათ მიერ შერჩეული აქტუალური თემატიკის კვლევის შედეგები წარმოადგინეს, ლიტერატურულ ნაწარმოებებს შორის პარალელები გაავლეს და, ასევე, კონკრეტულ ისტორიულ მონაკვეთში ქართული ლიტერატურული აზროვნების თავისებურებები იკვლიეს. აღნიშნულ კონტექსტში თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა ნინი ქველიაშვილმა საქართველოში ევროპული კულტურის თარგმანის მეშვეობით შემოსვლის საწყისები შეისწავლა. მოხსენების – „თარგმანის პრობლემა XIX საუკუნის 50-60-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაში" – ფარგლებში სტუდენტმა ქართულ ენაზე სათარგმნი ევროპული ლიტერატურის გარშემო მიმდინარე პოლემიკა გააანალიზა.

„მე-19 საუკუნეში ლიტერატურულ აზროვნებაში თარგმანის პრობლემის აქტუალიზებას ვხვდებით. ქართველი მწერლები შესანიშნავად აცნობიერებდნენ, რომ ლიტერატურის პროგრესი განუხრელად იყო დაკავშირებული მსოფლიო კლასიკური მწერლობის ნიმუშების თარგმნასთან. მეცხრამეტე საუკუნის 50-იანი წლებიდან უკვე არაერთი კრიტიკოსი გამოთქვამს მოსაზრებას სათარგმნი მასალის შერჩევისა თუ მთარგმნელობითი პრინციპების შესახებ. ნაშრომში შევეცადე – წარმომეჩინა ძირითადი შეხედულებები, რაც აღნიშნული საკითხის ირგვლივ 50-60-იანი წლების ქართულ კრიტიკაში გამოითქვა. კვლევა ვაწარმოე ნიკო ბერძენიშვილის, ილია ჭავჭავაძის, მიხეილ თუმანიშვილის, სარდიონ ალექსი მესხიშვილისა და სხვა მე-19 საუკუნის გამორჩეულ მწერალთა შეხედულების შეჯერების საფუძველზე", – აღნიშნა ნინი ქველიაშვილმა.

კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებებს შორის იყო ნინო გიორგაძის „აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკის" ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონთან" მიმართების საკითხი, მარიამ ლომსაძის „მთის თემა ალექსანდრე ყაზბეგის ლირიკაში", მარიამ ყარმაზანაშვილის „გუთნისდედის სახე მე-19 საუკუნის ქართულ პოეზიაში", ნუნუკა კიკნაველიძის „პატრიოტული მოტივის განსახიერების თავისებურება ვახტანგ ორბელიანის ლირიკაში", გვანცა გოგიჩაიშვილის „ფილიპე ერნის შინაგანი სამყარო ილია ჭავჭავაძის თარგმანის „უბინაო კაცი ნიუ ორკში" მიხედვით", ნინო შიომღვდლიშვილის „სოფოკლეს „ანტიგონე" და ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი" – ლიტერატურული პარალელები".

„სტუდენტები წარმოდგენილ მოხსენებებზე მუშაობისას და, ზოგადად, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ხშირად ხელმძღვანელობენ პროფესორ იუზა ევგენიძის კვლევებით. კონფერენცია მისი სახელის უკვდავყოფას ეძღვნება და, ამასთანავე, მას უმნიშვნელოვანესი დატვირთვაც აქვს – სტუდენტები ეუფლებიან კვლევის, საჯაროდ გამოსვლის, დისკუსიისა და აკადემიურ სივრცეში ქცევის წესებს", – აღნიშნა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორმა, რამდენიმე სტუდენტის ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელმა ლევან ბებურიშვილმა.

პროფესორ იუზა ევგენიძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობა 40 წელზე მეტს ითვლის. მისი საკვლევი თემატიკა ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა და ქართული რომანტიზმის საკითხებს მოიცავდა, არის არა ერთი ნაშრომის, მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი, მათ შორის: „ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისათვის", „ქართული რომანტიზმის საკითხები", „გრიგოლ ორბელიანი", „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია" და ა.შ.

„ჩვენს ფაკულტეტს ღირსეული ტრადიცია აქვს – ატაროს ხსოვნა იმ პროფესორებისა, რომლებმაც უნივერსიტეტში ილვაწეს და შექმნეს ღირებული სამეცნიერო პროდუქცია, მათ შორის, ერთ-ერთია იუზა ევგენიძე, შესანიშნავი მკვლევარი, მეცნიერი, პედაგოგი, სახელგანთქმული ლიტერატურათმცოდნის – გრიგოლ კიკნაძის მოწაფე და მისი ტრადიციების ერთგული. იუზა ევგენიძის შრომებს, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს, ყოველთვის ვუსახელებთ სტუდენტებს საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას", – აღნიშნა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა ლადო მინაშვილმა.

ლადო მინაშვილი

ნინი ქველიაშვილი

ლევან ბებურიშვილი

სტუდენტური ჟურნალის – „ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები" – მეოთხე ნომერი ივნისში გამოვა

მაია ტორაძე

უკვე მეოთხე წელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოდის ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი „ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები", რომელიც 2019 წელს სტუდენტური პროექტების დაფინანსების ფარგლებში შეიქმნა. ჟურნალი განკუთვნილია სამივე საფეხურის სტუდენტებისთვის. უკვე გამოსულია 3 ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებულია სამეცნიერო ნაშრომები ფსიქოლოგიის, განათლების მეცნიერებებისა და ოკუპაციური თერაპიის თემატიკაზე.

ჟურნალი „ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები" იმით გამოირჩევა, რომ ის მთლიანად სტუდენტების მიერ მზადდება – როტაციის პრინციპით იცვლებიან მენეჯერები, მუშაობენ ასევე ტექნიკური რედაქტორის პოზიციაზე და პასუხს აგებენ საიტის გამართულად მუშაობაზე.

წელს ჟურნალის მენეჯერის ვაკანსიაზე მორიგი კონკურსი გამოცხადდა და გასაუბრების შედეგად შეირჩა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ორი სტუდენტი: მესამეკურსელი თეკლა ჯაიანი და მეოთხეკურსელი ნინა შანგუა. მათთვის ეს ძალიან საპასუხისმგებლო დატვირთვაა და ამიტომაც კონკურსის დასრულებისთანავე აქტიურად ჩაერთნენ საქმეში. „როგორც კი შედეგები გამოცხადდა, გავეცანით ჟურნალის ფუნქციონირების სპეციფიკას და დავიწყეთ მუშაობა სამეცნიერო ნაშრომების მიღებასა და რეცენზირებაზე. ამ ჟურნალში სტუდენტები გზავნიან როგორც ინდივიდუალურად მომზადებული კვლევის შედეგებს, ასევე რომელიმე საგნის ფარგლებში ჩატარებულ კვლევას. წელს უპრეცედენტო რაოდენობა – 14 ნაშრომი მივიღეთ", – გვითხრა ჟურნალის ერთ-ერთმა მენეჯერმა თეკლა ჯაიანმა.

ნინა შანგუა

თეკლა ჯაიანი

ძირითადად სამი სფეროს ირგვლივ ვტრიალებთ, ესენია – ფსიქოლოგია, განათლების მეცნიერებები და ოკუპაციური თერაპია. წარმოდგენილი ნაშრომებიც ამ თემებს ეხება.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი ცდილობს სტუდენტები ადრეული პერიოდიდანვე ჩართოს კვლევის პროცესში და მიაჩვიოს ისინი სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების თანამედროვე მოთხოვნებს. კერძოდ, ჟურნალში „ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები" სტატიების რეცენზირებასა და ექსპერტიზას უზრუნველყოფს თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური.

„ძირითადად სამი სფეროს ირგვლივ ვტრიალებთ, ესენია – ფსიქოლოგია, განათლების მეცნიერებები და ოკუპაციური თერაპია. წარმოდგენილი ნაშრომებიც ამ თემებს ეხება. როგორც წესი, სტატიამ გამოქვეყნებამდე რეცენზირება შესაბამისი სფეროს სპეციალისტებთან უნდა გაიაროს, ამიტომაც ვუკავშირდებით ჩვენი ფაკულტეტის ლექტორებს და, მათი თანხმობის შემთხვევაში, ანონიმურად ვატარებთ რეცენზირების პროცესს, შემდგომ ასევე ანონიმურად ვუგზავნით სტუდენტს შენიშვნებს და ასე ვიღებთ მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომებს. საბოლოოდ ყველაფერი იყრის თავს ჟურნალის რედაქტორთან, ასოცირებულ პროფესორ სოფიო დოლიძესთან", – აღნიშნა ჟურნალის მენეჯერმა ნინა შანგუამ.

ჟურნალ „ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებების" მეოთხე ნომერი ივნისში გამოვა. ახალი სასწავლო წლიდან კი მორიგ ნომერზე სტუდენტთა სხვა ჯგუფს მოუწევს მუშაობა.

ლუკა ტულუში – სტუდენტი და მოქალაქე

ნინო ჯაჯულია

„ღამის ეკონომიკა: საქართველოს განვითარების შესაძლებლობა თუ გამოწვევა“ – ამ სახელწოდებით წარადგინა თავისი მოხსენება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტმა ლუკა ტულუშმა ინტერდისციპლინურ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც ორი ფაკულტეტის – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტების ეგიდით ჩატარდა.

„ჩემთვის, როგორც სტუდენტისთვის და ახალგაზრდისთვის, ვფიქრობ, საინტერესოა და თანაც აუცილებელი – მონაწილეობა მივიღო მსგავი ტიპის კონფერენციებში, ვინაიდან ესაა უნიკალური შესაძლებლობა პრაქტიკაში გადმოიტანო ყველა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც ფორმალური განათლების ნაწილში მიიღე. სტუდენტები ჩართულები უნდა იყვნენ ასეთ კონფერენციებში, რათა შეძლონ საკუთარი თავის განვითარება და მეცნიერებასთან დაახლოება“, – ასე ხსნის კონფერენციაში მონაწილეობის სურვილს ლუკა ტულუში, რომლის თემის თანამომხსენებელიც თსუ-ს სტუდენტი **ხატია ბუთიაშვილი** იყო.

რატომ დაინტერესდა ამ თემით და რა პროცესი გაიარა თემის დასამუშავებლად? – ამ კითხვაზე ლუკას წინასწარ გააზრებული ასეთი პასუხი ჰქონდა ჩვენთვის: „ვინაიდან, პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტი ვარ, ჩემთვის ორმაგად საინტერესოა ისეთი თემები, რომლებსაც უშუალოდ გავლენა აქვს სახელმწიფოს მართვაზე. არსებული თემა საინტერესოა, რადგან ღამის ეკონომიკის პროექტის განხორციელება ან განუხორციელებლობა – ორივე შემთხვევაში შესამჩნევ კვალს დატოვებდა საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამ შემთხვევაში გვინდოდა, რომ ყველა იმ დოკუმენტის ანალიზი გაგვეკეთებინა, რომლებიც თბილისის მერიამ წარადგინა პროექტის დაწყებისას. კვლევის პროცესი მეტად საინტერესო იყო: ვინაიდან ეს თემა სპეციფიკურია და საჭიროებს სპეციფიკურ მიდგომასაც, ამიტომ ემპირიული დასკვნების გასაკეთებლად გამოვიყენეთ შინაარსობრივი და შედარებითი ანალიზი. ეს პროცესი კიდევ უფრო საინტერესო იყო მაშინ, როცა მე და ჩემს პარტნიორს გვიწევდა თბილისის და გერმანიის სამოქმედო გეგმების შედარება“, – ამბობს ლუკა.

რა დასკვნა დადეს მომხსენებლებმა, რომელთაც კონფერენციაზე კრიტიკული აზროვნებისა და შედარებითი ანალიზის უნარ-ჩვევები აშკარად გამოავლინეს.

„საბოლოოდ, მივედით იმ დასკვნამდე, რომ კვლევის დასაწყისში აღებული ჰიპოთეზა გამართლდა, რომ ღამის ეკონომიკის პროექტს, უმეტესწილად, უარყოფითი გავლენა ჰქონდა საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. დავასკვენით, რომ საქართველოს არ ჰქონდა შესაბამისი მზაობა გამკლავებოდა იმ გამოწვევებს, რომლებიც უშუალოდ პროექტის განხორციელებისას იჩენდა თავს: საზოგადოება არ იყო ინფორმირებული არსებული პროექტის შინაარსზე, ხოლო გამოყოფილი თანხები არამიზნობრივად დაიხარჯა“, – აცხადებს ლუკა ტულუში.

ლუკა ტულუშის ინტერესები (ბლიც-ინტერვიუ)

ლუკა ტულუში უნივერსიტეტის ის გამორჩეული ერთ-ერთი სტუდენტია, რომელიც გრძნობს პასუხისმგებლობას – ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება და კურსი უკეთესობისკენ შეცვალოს. მას თურმე ბევრი მიუთითებდა, რომ „პოლიტიკა ბინძური საქმეა“, თუმცა ამ გამოწვევამ ლუკას ინტერესი გაუმძაფრა – თავად გაიზარდოს ისეთი, რომელიც არსებულის შეცვლაში მიიღებს მონაწილეობას.

– რატომ აირჩიე შენი პროფესია და რამდენად მოგწონს?

– ბავშვობიდან ძალიან ბევრ რამეში ვიყავი ჩართული, ძალიან მიჭირდა გადაწყვეტილების მიღება, რადგან ყველა სფეროსთან მქონდა შეხება და ყველა თავისებურად მაინტერესებდა, განსაკუთრებით მედიცინა, მაგრამ შემდგომ, ბოლო 2 წელში გავიაზრე, რომ პოლიტიკის მეცნიერება იყო ის მიმართულება, რომელიც არ დამიწესებდა საზღვრებს, არ მომაქცევდა ჩარჩოებში და მომცემდა შანსს – ამ ფართო არეალში საკუთარი თავი ბევრგან მეპოვნა. როცა ეს გადაწყვეტილება მივიღე, ჩემ ირგვლივ იყვნენ ადამიანები, რომლებიც მეუბნებოდნენ, რომ პროფესია შემეცვალა, რადგან „პოლიტიკა ბინძური საქმეა“ და ჯობდა ჩემი აქამდე დაგროვილი ცოდნა სხვა სფეროში გამომეყენებინა. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რატომაც შევაჩერე არჩევანი პოლიტიკის მეცნიერებაზე: დღეს თუ ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა არ მოგვწონს, ჩვენ ვალდებულებაც უნდა ავიღოთ მის გამოსასწორებლად და უკეთესი მომავალი შევქმნათ, ჩვენ ვართ ხვალინდელი თაობა და სწორედ მე და ჩემმა თაობამ უნდა გადავწყვიტოთ ზეგინდელი პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში. თუ ყველამ უარი თქვა ამ პროფესიაზე, რადგან ახლანდელი სიტუაცია არ არის სახარბიელო, მაშინ ვინღა უნდა გამოასწოროს ცუდი კარგისაკენ და კარგი უკეთესისაკენ?

როგორც ვახსენე, დამატებით სპეციალობად ჟურნალისტიკასაც ვსწავლობ და ამ ორი პროფესიის ჰარმონიულ შერწყმასაც ვგრძნობ.

ძალიან მომწონს ჩემი პროფესია, ჯერ მარტო იმიტომ, რომ არ მზღუდავს და, ამავე დროს, ყოველდღიურად ვგრძნობ, რომ ამ პროფესიის შესწავლისას არა მარტო სტუდენტი ვარ, არამედ მოქალაქეც, რომელსაც უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია უკეთესი პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებაში! ეს არის პროფესია, საც ერთდროულად ხარ სტუდენტიც და მოქალაქეც, რომელიც თან უნდა სწავლობდეს და თანაც მუდამ უნდა იყოს მოვლენათა ეპიცენტრში...

– რა ცოდნას გაძლევს უნივერსიტეტი?

– უნივერსიტეტში როცა ჩავაბარე, მაშინვე მქონდა ეს მოლოდინები, რომ ეს ადგილი მომცემდა იმ ცოდნას, რომელიც, რა თქმა უნდა, დამეხმარეოდა პროფესიულ საქმიანობაში. ვინაიდან, პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტი ვარ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვხვდები ბევრ საინტერესო ლექტორს, რომელთაგანაც ძალიან ბევრის სწავლა შეიძლება. დამატებით სპეციალობად მაქვს ჟურნალისტიკა – პოლიტიკისა და ჟურნალისტიკის ერთდროულად სწავლა კი ძალზე საინტერესოს ხდის სწავლის პროცესს. შესაბამისად, მგონია, რომ უნივერსიტეტი არის ადგილი, რომელიც მაძლევს ცოდნას საკუთარი პროფესიის სრულფასოვნად შესწავლისთვის და შემგდომ შანსს ამ პროფესიაში საკუთარი თავის დამკვიდრებისათვის.

– ხარ თუ არა დასაქმებული?

– ამჟამად, სოციალური მედიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი ვარ უძრავი ქონების სააგენტო ემჯი გრუპში. როგორც აღვნიშნე, ძალიან ბევრ რამეში ვარ ჩართული და ჩემი დღიური გრაფიკიც სულ გადატვირთულია.

ვარ, ასევე, ახალგაზრდა ევროპელი ელჩი საქართველოში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, ახალგაზრდა ლიდერების ევროპული ასოციაციის გენერალური დირექტორი ქოფირაითერი და დეზინფორმაციის ტრენერი. ყოველი დღე ჩემთვის ახალი გამოწვევაა... მინდა, ყოველ დღე რაღაც ახალი ვისწავლო და მჯეროდეს, რომ დღეს ერთი თავით მაღლა ვარ, ვიდრე გუშინ ვიყავი.

– ვინ არის უნივერსიტეტში შენი საყვარელი ლექტორი?

– მყავს რამდენიმე საყვარელი ლექტორი, თითოეულს თავისი ინდივიდუალიზმი გამოარჩევს. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვახსენო ქალბატონი თამარ ვეფხვაძე... მაშინ, როცა პანდემიის პირობებში ჩემი პირველი კურსი სახლში, ონლაინ რეჟიმში დაიწყო, სწორედ ქალბატონი თამარი იყო ის ადამიანი, რომლის გამოც მიხარია ის სემესტრი. მისი პროფესიონალიზმი, კომუნიკაციის უნარები და სტუდენტებისადმი დამოკიდებულება მას ნამდვილად გამოარჩევს ყველა სხვა ლექტორისგან. იმდენად საინტერესოდ უძღვება თავის კურსს, რომ შეუძლებელია მოიწყინო... კურსის შემდგომაც გადავწყვიტე მასთან ურთიერთობის შენარჩუნება და მიხარია, რომ დღესაც სალექციო კურსს გარეთაც მაქვს მასთან კომუნიკაცია!

– რა პრობლემას გამოკვეთდი საუნივერსიტეტო ცხოვრებიდან?

– ძირითადად, ალბათ, სხვა ქალაქებიდან, რეგიონებიდან თუ სოფლებიდან ჩამოსულ სტუდენტებზე გავაკეთებდი აქცენტს. მე თვითონაც სამტრედიიდან ვარ და ვიცი, რომ ჩამოსვლისას სტუდენტებს უწევთ ძალიან ბევრ მსხვილ თუ წვრილ პრობლემას გაუმკლავდნენ. უნივერსიტეტების მხრიდან უმჯობესი იქნებოდა ასეთი სტუდენტების გათვალისწინება და სალექციო მასალის თუ გამოცდების განრიგის ისე გადანაწილება, რომ პრობლემებმა ნაკლებად იჩინონ თავი. საუბარია იმ სირთულეზე, რაც სამსახურის პოვნას და უნივერსიტეტში სწავლისას ურთიერთხელშეწყობას უკავშირდება...

– რა სურვილები გაქვს, რაც უნივერსიტეტს და შენს სტუდენტობას უკავშირდება?

– სურვილი მაქვს, რომ მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამოვიყენო! კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტი იზრუნებს პრაქტიკული სამუშაოების უზრუნველყოფაზეც, რადგან პროფესიის სრულფასოვნად დაუფლებისათვის აუცილებელი პირობაა პრაქტიკული გამოცდილების ქონაც. ჩემი სტუდენტობა კი, მინდა, ის დაუვიწყარი 4 წელი იყოს, როცა ვიტყვი – მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა, ამ 4 წელში ძალიან ბევრი საინტერესო რამ მოვასწარი და საკუთარი თავის საკუთარი ვერსია 4-ჯერ უფრო გავზარდე!

სალომე ჯაიშაური: ჩვენ სტუდენტობისას ვიძერწებით და ვყალიბდებით

„რუსეთის მოქალაქეთა მიგრაციის გაშუქების სპეციფიკა ქართულ მედიაში“ – ამ სახელწოდებით წარადგინა თავისი მოხსენება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა სალომე კაიშაურმა ინტერდისციპლინურ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც ორი ფაკულტეტის – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტების ეგიდით ჩატარდა.

სალომე თვლის, რომ ასეთი აქტივობები ერთგვარი გამოცდილებაა სტუდენტებისთვის, რაც მათ ამზადებს სამომავლოდ კიდევ უფრო დიდი პროექტებისათვის და ეხმარებათ წინსვლაში.

მეორე კურსის სტუდენტს გააზრებული აქვს ქართულ მედია სივრცეში არსებული ვითარება, თუმცა ახალი კვლევით მან კიდევ მეტი ინფორმაციის მოპოვება შეძლო და წარმოდგენებიც გაიმდიდრა: „ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის, უმნიშვნელოვანესია მივიღო სანდო ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. მედია ერთგვარი „იარაღია“, რომელსაც შეუძლია საზოგადოების ყურადღების მიმართვა მნიშვნელოვანი საკითხებისადმი, ხალხის ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება. ცნობილია, რომ რუსეთ-უკრაინის ომი 2022 წლის 24 თებერვალს დაიწყო, რამაც უდიდესი გავლენა იქონია საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებზე, მის ეკონომიკურ-პოლიტიკურ თუ კულტურულ მდგომარეობაზე. აღნიშნული საკითხი დღესდღეობით მეტად აქტუალურია და სწორედ ამიტომაც გადავწყვიტეთ კვლევა რუსეთის მოქალაქეების მიგრაციის გაშუქების სპეციფიკაზე ჩაგვეტარებინა ქართულ მედიაში. მიმაჩნია, რომ ამჟამინდელ ქართულ ტელე-მედიაში იკვეთება ხარვეზები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქებისას. მე და ჩემს მეწყვილეს – **მარიამ მათიაშვილს** განხილული გვქონდა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, „იმედისა“ და „ფორმულას“ სიუჟეტები, ნიუსები და სწორედ აღნიშნული ტელევიზიების მაგალითზე გამოვიკვლიეთ – თუ რა სპეციფიკით, რა ეთიკური ნორმების დაცვით, რა დარღვევებით შუქდებოდა ზემოთ ნახსენები საკითხი. საკვლევი პერიოდი იყო 2022 წლის სექტემბრიდან წლის ბოლომდე“, – ამბობს სალომე კაიშაური.

გვ. 8

მე-7 გვ-დან

რა ტენდენციები გამოიკვეთა და რა დასკვნა დადეს სტუდენტებმა, რომლებმაც გამოკითხეს თითოეული არხის ჟურნალისტი და დაამუშავეს თემები.

„ჩატარებული კვლევის მიხედვით გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია ჩემ მიერ დასახელებული ტელევიზიების მიერ გაშუქებულ სიუჟეტებში. მაგალითად, სამივე ტელეარხზე ძირითადი ჟურნალისტური საშუალება იყო სიუჟეტი და პირდაპირი ეთერი, ასევე, აღნიშნული ინფორმაციის გაშუქების სტილი თითოეულ არხზე იმას ამტკიცებს, რომ მედია პოლარიზებულია, რისი თქმის საფუძველსაც თვითონ სიუჟეტები, გამოკითხულ რესპონდენტთა ვინაობა გვაძლევს. იყო ხარვეზებიც, მაგალითად, სიუჟეტებში იკვეთებოდა ჟურნალისტების მიერ მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტების გამოკითხვის ნაკლებობა, რაც, ვთვლი, რომ ბალანსისთვის აუცილებელია. მაყურებელს უნდა მიეწოდებოდეს მასალა, რომელიც დაცლილი იქნება სუბიექტური ელემენტებისაგან და თავად მაყურებელმა უნდა გამოიტანოს დასკვნა – ნეგატიურად აღიქვამს აღნიშნულ მოვლენას თუ პოზიტიურად“, – ამბობს სალომე კაიშაური, რომელსაც პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების გარდა მეორად პროფესიად ჟურნალისტიკის მიმართულება აქვს შერჩეული.

ბლიც-ინტერვიუ

– რა ცოდნას გაძლევს უნივერსიტეტი?

– ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტი ის ადგილია, სადაც ცოდნასთან ერთად, გარკვეულწილად, პრაქტიკულ გამოცდილებასაც ვიღებ და ეს ჩემზე დადებითად აისახება. ასევე, გამოვყოფდი რამდენიმე კურსს/საგანს, რომელთა გავლისას განსაკუთრებით ვგრძნობდი იმას, რომ ის არა მხოლოდ ცოდნის გადმოცემას ემსახურებოდა, არამედ კიდევ უფრო გვივითარებდა კრიტიკისა თუ ანალიზის უნარებს, რაც, მიმაჩნია, რომ უმნიშვნელოვანესია, განსაკუთრებით ჩემს ფაკულტეტზე.

– რა პრობლემას გამოკვეთდი საუნივერსიტეტო ცხოვრებიდან?

– მე, პირადად, ერთ-ერთ უდიდეს პრობლემად მიმაჩნია შუალედური გამოცდების განრიგის სიმჭიდროვე. მაგალითად, მიმდინარე სემესტრში ოთხი საგნის გამოცდა მიყოლებით მქონდა ჩასმული და ვფიქრობ, ეს მეტად მოუხერხებელი და არასასურველი განრიგია სტუდენტებისთვის, რადგანაც, რაც არ უნდა იდეალურად ვიყო მომზადებული გამოცდისთვის, მას, გარკვეულწილად, მაინც ახლავს თან სტრესი და დაძაბულობა. ასევე, აღვნიშნავდი საგნების არჩევისას გამოწვეულ მდგომარეობას, როდესაც ზოგიერთი სტუდენტი ან ვერ ირჩევს სასურველ საგანს, ან საერთოდაც 5 საგნით რჩება.

– რა სურვილები გაქვს, რაც უნივერსიტეტს და შენს სტუდენტობას უკავშირდება?

– ჩემი უპირველესი სურვილია – მივიღო რაც შეიძლება დიდი განათლება სტუდენტობისას, რადგანაც სწორედ ამ პერიოდში ვიძერწებით და ვყალიბდებით, რისთვისაც, ვფიქრობ, სწავლა, მეცადინეობა და მაქსიმალურის გაკეთება აუცილებელია, რათა დასახულ მიზანს მივაღწიოთ. აგრეთვე, უნივერსიტეტის დასრულებამდე გაცვლითი პროგრამის კონკურსში მონაწილეობის მიღება ჩემი ერთ-ერთი უდიდესი სურვილია, რომლის ასასრულებლადაც ვშრომობ. მინდა, რომ უნივერსიტეტში გატარებული წლები ტკბილად გავლიო და ვისურვებდი, რომ სტუდენტები ერთმანეთისადმი იჩენდნენ უფრო მეტ სითბოს, თანადგომას და ავლენდნენ ნაკლებ ნეგატიურ ენერგიას, რომელიც ისედაც მოჭარბებულია ქვეყანაში.

მაგდა სარჯველაძის ახალი სამოქმედო გეგმა

ნინო ჯაჯულია

„უმაღლეს განათლებაში მუსლიმი ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაციისა და ინკულტურაციის მცდელობების კვლევა თბილისის 4 სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე“ – ამ სახელწოდებით წარადგინა თავისი მოხსენება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტმა მაგდა სარჯველაძემ ინტერდისციპლინურ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც ორი ფაკულტეტის – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტების ეგიდით ჩატარდა.

„მე და ჩემმა მეწყვილემ – **არჩილ წივილაშვილმა** პირველი კურსის მეორე სემესტრიდან ერთად დავიწყეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობის მიღება რამდენიმე მიზეზის გამო: 1) გვსურდა ჩვენი, როგორც სტუდენტის, სტატუსის მეტად გააქტიურება; 2) გვსურდა – გვეკვლია და, ამავე დროს, სამეცნიერო საზოგადოებისთვის ფართოდ გაგვეცნო ჩვენთვის საინტერესო საკითხები. 3) ჩემი სპეციალობა მოითხოვს კიდეც კვლევებში სერიოზულ პრაქტიკასა და გამოცდილებას, ამიტომ ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ამ მხრივ სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობის მიღება“, – ასე ხსნის ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილს მაგდა სარჯველაძე, რომლის თემის თანამომხსენებელიც თსუ-ს სტუდენტი არჩილ წივილაშვილი იყო. როგორც მაგდა ამბობს, მათი კვლევის ძირითადი დასკვნა გახლდათ ის, რომ „რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენელ სტუდენტსა და აკადემიურ პერსონალს შორის გაუცხოება მზარდია და ეს პრობლემა, ძირითადად, საზოგადოების ცნობიერების ნაკლებობისა და ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული მოქმედი სტერეოტიპების ბრალია“.

ფიქრები მომავალზე

გარდა იმისა, რომ მაგდა სარჯველაძე სწავლის პროცესში კვლევებით დიდად არის დაინტერესებული, ამავე დროს, ცეკვავს. ცეკვა მისთვის მხოლოდ ჰობია, რადგან რეალურად სოციოლოგიას მიიჩნევს მის რჩეულ პროფესიად.

– რატომ აირჩიე შენი პროფესია და რამდენად მოგწონს?

– სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩემი მოხვედრა არ ყოფილა დიდი ხნის ოცნება, ვინაიდან არასდროს მქონდა გაწერილი და სწორად ფორმულირებული ცხოვრებისეული „სამოქმედო გეგმა“, თუმცა ჩემი აქ მოხვედრა, დიდწილად, განაპირობა საკითხებმა, რომლებიც მუდამ მაინტერესებდა, საკითხებში კი საზოგადოებასა და მის ფორმირებას ვგულისხმობ. საბოლოოდ მინდა ვთქვა, რომ საზოგადოების შესწავლის იდეამ მომიყვანა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტამდე, კერძოდ კი, სოციოლოგიის მიმართულებამდე. დღეს აქ საკმაოდ ბედნიერი ვარ, ვინაიდან სწორედ იმ გარემოში მოვხვდი, სადაც ჯანსაღი კონკურენცია მიმდინარეობს და გვასწავლიან ლექტორები, რომლებიც მუდამ მზად არიან ჩვენი ინტერესების დასაცავად.

ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად შუალედური გამოცდების ჩატარების ერთკვირიან ხანგრძლივობას დავასახელებდი, რომელიც ჩემ გარშემო თითქმის ყველა სტუდენტზე, მათ ჯანმრთელობასა და ნერვულ სისტემაზე აისახება. სხვა მხრივ, მე, პირადად, არანაირ პრობლემას არ ვხედავ.

– რა ცოდნას გაძლევს უნივერსიტეტი?

– უნივერსიტეტი არა მხოლოდ ცოდნას, არამედ უდიდეს პროფესიულ თუ ცხოვრებისეულ გამოცდილებებს მაძლევს, რაც, თავის მხრივ, აიხსნება იმით, რომ ვსწავლობ გარემოში, სადაც რჩევებს, მაგალითებს ვიღებ გამოცდილი და პროფესიონალი ლექტორებისგან.

– ხარ თუ არა დასაქმებული?

– ვმუშაობ ინგლისურის კერძო მასწავლებლად. მყავს მე-7-დან მე-11 კლასის ჩათვლით მოსწავლეები. ასევე, ვცეკვავ ქართულ ნაციონალურ ბალეტში „სუხიშვილები“ და გახლავართ მოცეკვავე (სწავლის გამო დროებით „შევიჩერე“ მოცეკვავის სტატუსი). რეალურად 6 წლიდან ვცეკვავ, რადგან ბავშობაში ვავლენდი, თურმე, ცეკვისადმი ჩემს ინტერესს და, როგორც ამბობენ, საკმარისად მქონდა ნიჭიც. ამ მხრივ აღსანიშნავია ის, რომ 15 წლის მანძილზე არასდროს არ მქონია რეპეტიციების გაცდენის სურვილი, რადგან ვფიქრობდი, რომ ეს საქმე ჩემი მოწოდება იყო. თუმცა ამ 15 წლის განმავლობაში ყოფილა 2 ისეთი წელი, როდესაც დროის სიმცირის გამო მომიხდა შესვენება (აბიტურიენტობისას, უნივერსიტეტში სწავლის გამო და ჩემი სამუშაო გრაფიკის გამო). ამის მიუხედავად, აუცილებლად ვგეგმავ სამომავლოდ გრაფიკის სწორად გაწერას და თავისუფალი დროის გამოყოფას „სუხიშვილებისთვის“. ცეკვა უნდა განვაგრძო აუცილებლად, თუმცა ის არა პროფესია, არამედ ჰობი იქნება.

– ვინ არის უნივერსიტეტში შენი საყვარელი ლექტორი?

– ბევრი ლექტორის ჩამოთვლა მომიწევს, ამიტომ ამ კითხვაზე პასუხისგან თავს შევიკავებ. უბრალოდ, ვიტყვი იმას, რომ უდაოდ იღბლიანი სტუდენტი ვარ, იმ მხრივ, რომ ლექტორისადმი სიძულვილის გრძნობა არ ვიცი – რას ნიშნავს.

– რა პრობლემას გამოკვეთდი საუნივერსიტეტო ცხოვრებიდან?

– ალბათ, ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად შუალედური გამოცდების ჩატარების ერთკვირიან ხანგრძლივობას დავასახელებდი, რომელიც ჩემ გარშემო თითქმის ყველა სტუდენტზე, მათ ჯანმრთელობასა და ნერვულ სისტემაზე აისახება. სხვა მხრივ, მე, პირადად, არანაირ პრობლემას არ ვხედავ.

– რა სურვილები გაქვს, რაც უნივერსიტეტს და შენს სტუდენტობას უკავშირდება?

– ვფიქრობ, საკმაოდ სასიამოვნო გარემოში (ადამიანებს ვგულისხმობ) მიწევს სტუდენტობის გატარება. ამ მხრივ თითქმის არანაირი სურვილი არ მაქვს.

მარიამ ხაზალიას თსუ კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაში ეხმარება

ნინო ჯაჯულია

„აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მშობლიურ მხარეში დაბრუნების მოტივები“ – ამ სახელწოდებით წარადგინა თავისი მოხსენება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტმა მარიამ ხაზალიამ ინტერდისციპლინურ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც ორი ფაკულტეტის – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტების ეგიდით ჩატარდა.



რატომ დაინტერესდა სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად? – ამ კითხვაზე მარიამი გვპასუხობს, რომ კონფერენციაში მონაწილეობა გადააწყვეტინა მისმა ინტერესმა კვლევითი საქმიანობისადმი: „აქამდე ამ სახის გამოცდილება არ მქონია, მაგრამ კონფერენციაში მონაწილეობა გამოწვევად აღვიქვი და მაქსიმალური დრო და ენერგია ჩავდე სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად. თანაც, როგორც ვიცით, პირველად ტარდებოდა ფაკულტეტთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია. შესაბამისად, ამ შესაძლებლობას ხელიდან არ გავუშვებდი“.

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მშობლიურ მხარეში დაბრუნების მოტივების კვლევით მარიამ ხაზალია დიდი ხანია დაინტერესებულია და, როგორც აღმოჩნდა, გარკვეული შეხედულებებიც აქვს დევნილების მშობლიურ მხარეში დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით.

„უპირველეს ყოვლისა, მიმაჩნია, რომ დღეს, ისე, როგორც არასდროს, აუცილებელია დევნილების პრობლემებსა და გულისტკივილზე საუბარი, რათა შემდგომში განხორციელდეს ქმედითი ნაბიჯები მათ დასახმარებლად. კვლევის პროცესი არ იყო მარტივი. 22 ნახევრად-სტრუქტურირებული და 8 ექსპერტული ინტერვიუ ჩავწერეთ – ეს ყოველივე კი ძალიან დიდ დროსა და შრომას მოითხოვს. დევნილებთან დაკავშირება არცთუ ისე მარტივი აღმოჩნდა. ბევრი მათგანი არ დაგვთანხმდა ინტერვიუზე, არ სურდა იმ ტრავმებზე საუბარი, რაც ამ დროის განმავლობაში გამოიარეს. ზოგმა კი, პირიქით, თავიდანვე გამოთქვა მზაობა, რომ დაგვესვა მათთვის კითხვები, რათა ჩვენ – ახალი თაობის წარმომადგენლებს გაგვეხმიანებინა დევნილთა მხრიდან აფხაზეთის დატოვების გამო გამოწვეული ტკივილები. შესაბამისად, ინტერვიუების ჩაწერის პროცესიც ძალიან ემოციური აღმოჩნდა. რაც შეეხება ექსპერტებს, ჩვენ ჩავწერეთ კონფლიქტოლოგი, სახალხო დამცველის აპარატში მომუშავე მრჩეველი, დეპუტატი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ჟურნალისტი, ეკონომიკის დოქტორი. თითოეული მათგანი უკვე წლებია, რაც მუშაობს დევნილებთან. საჭიროდ მივიჩნიეთ მათთან ინტერვიუს ჩაწერა, რათა კომპეტენტური პირებისგან მოგვესმინა მოსაზრებები“, – ამბობს მარიამ ხაზალია, რომლის თემის თანამომხსენებელიც თსუ-ს სტუდენტი **თორნიკე ელაშვილი** იყო.

კვლევის შედეგად სტუდენტებმა დაადგინეს, რომ დევნილთა სახლში დაბრუნების ძირითადი მოტივებია უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სამართლიანობის აღდგენა, თავისუფალი გადაადგილება, აფხაზეთში მცხოვრები ადგილობრივების დახმარება, ევროპული მომავალი და ნამდვილ სახლში დაბრუნება.

„ასევე დავადგინეთ – თუ რა ფაქტორები ახდენენ გავლენას მშობლიურ მხარეში დაბრუნების მოტივაციაზე. კერძოდ, სახელმწიფოს პოლიტიკა და დროის გასვლა მთავარი ხელშემშლელი ფაქტორებია მოტივაციის ამაღლების ან შენარჩუნებისთვის; ხოლო მოტივაციის შენარჩუნებას ხელს აძლევს ის, რომ დევნილები ყველგან ეძებენ ძველ სახლს და მუდმივად აქვთ ინფორმაცია აფხაზეთზე (კომუნიკაციის წყალობით)“, – ამბობს მარიამი.

ბლიც-ინტერვიუ

– რატომ აირჩიე შენი პროფესია და რამდენად მოგწონს?

– პროფესია ავირჩიე ჩემი ინტერესებიდან გამომდინარე. ბავშვობიდან მაინტერესებდა ისტორია და გეოგრაფია. ვფიქრობ, დიდწილად, ამან გამოიწვია შემდგომში ჩემი დაინტერესება სახელმწიფოების პოლიტიკური სისტემებისა და მათი მახასიათებლების მიმართ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ჩამებარებინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და ძირითად მიმართულებად პოლიტიკის მეცნიერება ამერჩია.

– რა ცოდნას გაძლევს უნივერსიტეტი?

– უნივერსიტეტი მეხმარება, რომ მივიღო ცოდნა ჩემი სპეციალობის – პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების შესახებ; განვივითაროთ ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარები... ამასთანავე, უნივერსიტეტი გვაძლევს შესაძლებლობას, რომ ჩავერთოთ კვლევით საქმიანობაში, მონაწილეობა მივიღოთ კონფერენციებსა და ა.შ.

– ვინ არის/არიან უნივერსიტეტში შენი საყვარელი ლექტორ(ებ)ი?

– სანდრო ტაბატაძე, თორნიკე ზურაბაშვილი...

– რა პრობლემას გამოკვეთდი საუნივერსიტეტო ცხოვრებიდან?

– სტუდენტური საცხოვრებლის პრობლემას დავასახელებდი... ვიმედოვნებ, რომ აღნიშნული პრობლემა მალე მოგვარდება. ასევე, პრობლემაა უნივერსიტეტის კორპუსებში კვების ობიექტების არარსებობა. ამასთანავე, ბევრად უკეთესი იქნება, თუ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფრო გამართულად იფუნქციონირებს.

მარიამ ჭიკაძის აღმოჩენების სივრცე

„საქართველო-აფხაზეთისა და ქართულ-ოსური კონფლიქტების შედეგად საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობებისა და თბილისის ურბანულ სივრცეებთან ადაპტაცია-ინტეგრაციის სირთულეები“ – ამ სახელწოდებით წარადგინა თავისი მოხსენება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მე-2 კურსის სტუდენტმა მარიამ ჭიკაძემ ინტერდისციპლინურ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც ორი ფაკულტეტის – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტების ეგიდით ჩატარდა.

„ჩემთვის და ჩემი მეწყვილე სანდრო კაპანაძისთვის აღნიშნული თემატიკა მეტად მნიშვნელოვანია. ზოგადად, ყველა ის პრობლემა, რაც ქართულ-აფხაზურმა და ქართულ-ოსურმა კონფლიქტებმა მოუტანა საქართველოს, ჩვენთვის ორმაგად საინტერესოა. შესაბამისად, დავინტერესდით იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული პრობლემებით, რაც მეტად კომპლექსური აღმოჩნდა. თავდაპირველად, დავინტერესდით თემის აქტუალურობით, წავიკითხეთ უამრავი ინფორმაცია, რის საფუძველზეც მივხვდით, რომ აღნიშნული პრობლემები კვლავ დღის წესრიგში იდგა. შემდგომ ჩვენს ხელმძღვანელთან – ბატონ იოსებ სალუქვაძესთან ერთად დავიწყეთ კვლევისთვის მზადება. ამ პროცესში ყველაზე საინტერესო კვლევის ჩატარების პროცესი იყო, ვინაიდან ჩვენ გამოვიყენეთ როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, შესაბამისად, მოგვიწია ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუების ჩატარება. სწორედ აქ მოვისმინეთ რესპონდენტთა გულრწფელი და, ამავდროულად, სევდიანი პასუხები რიგ საკითხებზე. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის დამუშავების პროცესი, ცხადია, დამღლელი, თუმცა ძალიან საინტერესო იყო, ვინაიდან გავედით რეალურ, მნიშვნელოვან და არაერთგვაროვან მიგნებებზე“, – ამბობს მარიამ ჭიკაძე, რომლის თემის თანამომხსენებელიც სანდრო კაპანაძე იყო.

რა დასკვნამდე მივიდნენ მომხსენებლები, რომელთაც კონფერენციაზე კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარ-ჩვევები აშკარად გამოავლინეს. „ჩვენ მიერ შერჩეული თემის კომპლექსურობიდან გამომდინარე, ცხადია, რამდენიმე მიგნებაზე გავედით და ძალიან საინტერესო შედეგები მივიღეთ. ვეცდები მოკლედ ჩამოგიყალიბოთ ძირითადი შედეგები, რაც გულისხმობს შემდეგს: საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, დემოკრატიის ხარისხზე, ეროვნულ უსაფრთხოებაზე, სტაბილურობასა და განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს ნებისმიერი სოციალური ჯგუფი, განსაკუთრებით კი დევნილები; გამოიკვეთა კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს დევნილთა მდგომარეობა საცხოვრებლის მიმართ არაერთგვაროვანია; საინტერესოა მათი ინტეგრაცია-ადაპტაციის საკითხი, რითაც დადასტურდა, რომ მათი დღევანდელი ურთიერთობები მკვიდრ მოსახლეობასთან პოზიტიური ხასიათისაა. თუმცა, ადაპტაციის პრობლემამ გავლენა მოახდინა ასაკობრივად უფრო მაღალ სეგმენტზე, ვიდრე ახალ თაობაზე; კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თბილისში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების გამოცდილება, ინტეგრაციის თვალსაზრისით, არ უნდა შეფასდეს ერთიანი თალსაზრისით, რადგან ზოგიერთ ასპექტში, დევნილთა გამოცდილება საკმაოდ მსგავსია – პოზიტიური, ზოგიერთ შემთხვევაში კი – ურთიერთსაპირისპირო“, – აცხადებს მარიამ ჭიკაძე.

ბლიც-ინტერვიუ

მარიამ ჭიკაძისთვის უნივერსიტეტი ახალი აღმოჩენების სივრცეა. როგორც ამბობს, აკადემიური ცოდნის მიღების გარდა მისთვის მეტად საგულისხმოა ურთიერთობები და პრაქტიკული გამოცდილება, რასაც მისი თსუ სთავაზობს. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით სწავლა სკოლის ასაკიდანვე გააზრებულად უნდოდა. მარიამ ჭიკაძეს იმედები გაუმართლდა და ფიქრობს, რომ სწორი არჩევანი გააკეთა.

– ხარ თუ არა დასაქმებული?

– დასაქმებული ვარ ნიუს კომპანიაში – „პრაიმ-ნიუსი“ – ჟურნალისტის პოზიციაზე. საგულისხმოა, რომ აღნიშნული სამსახური ჩემთვის ახალი და საინტერესო გამოცდილებაა ცხოვრებაში.

– ვინ არის შენი გამორჩეულად საყვარელი ლექტორი?

– საბედნიეროდ, უნივერსიტეტმა ბევრ უსაყვარლეს ლექტორს შემახვედრა. ძალიან რთულია ერთის გამოყოფა, თუმცა ჩემი მიმართულებიდან დავასახელებ ქეთევან მუხიგულს. მისი საგანი, ლექცია/სემინარები ჩემთვის საუკეთესო გამოცდილება იყო ამ უნივერსიტეტში.

– რა პრობლემას გამოკვეთდი საუნივერსიტეტო ცხოვრებიდან?

– უნივერსიტეტში, სამწუხაროდ, არაერთ პრობლემას ვაწყდებით სტუდენტები. ადამინისტრაციული საკითხების მოგვარება და რიგ კითხვებზე პასუხის მიღება, ალბათ, ის ერთ-ერთი საკითხია, რაც გვაწუხებს სტუდენტებს.

– რა სურვილები გაქვს, რაც უნივერსიტეტს და შენს სტუდენტობას უკავშირდება?

– მოხარული ვიქნები, თუ თსუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტთა რიცხვი გაიზრდება, სტუდენტებს კი მეტი გაცვლითი პროგრამის შესაძლებლობას შემოგვთავაზებს.

თამთა თათიკიშვილი კრიმინალურ ქცევაზე მოქმედი გარეგანი ფაქტორების კვლევით დაინტერესდა

ნინო კაკულია

„კრიმინალურ ქცევაზე მოქმედი გარეგანი ფაქტორები" – ამ სახელწოდებით წარადგინა თავისი მოხსენება თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაუკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა თამთა თათიკიშვილმა ინტერდისციპლინურ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც ორი ფაკულტეტის – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტების ეგიდით ჩატარდა. თამთამ სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობის მიღება გამოცდილების მიღების მიზნით გადაწყვიტა.

რატომ დაინტერესდა ამ თემით და რა დასკვნა დადო? – ამ კითვაზე თამთა თათიკიშვილი გვპასუხობს: „კაცობრიობის არსებობიდან მოყოლებული ადამიანი ჩადის დანაშაულს. როდესაც დანაშაული ცხადდება ფართო საზოგადოებისთვის, სოციუმი თუ მასმედია აყალიბებს თეორიებს დანაშაულის მოტივის შესახებ. ეს უკანასკნელი, ხშირად, დაკავშირებულია დამნაშავის ინტერნალურ თვისებებთან თუ გენეტიკასთან, რის გამოც უგულებელყოფილია მასზე გარემო ფაქტორების გავლენა, რომელიც მნიშვნელოვანი წამახალისებელი ან დეტერმინანტია დანაშაულისა. კრიმინალური ქცევა დიდი ხანია აღარ მიიჩნევა არც მხოლოდ ინტერნალური და არც მხოლოდ ექსტერნალური

ფაქტორების შედეგად, არამედ განიხილება, რომ ის ინდივიდისა და გარემოს განზომილებებში არსებული რისკ დამცავი ფაქტორების ურთიერთზემოქმედების შედეგია. ამავდროულად, გარემო ფაქტორების შესწავლა უპირატესია, რადგან მათი პროგნოზი და კონტროლი გაცილებით უფრო მოსახერხებელია და, ამავე დროს, სწორედ გარემო ფაქტორების სიღრმისეული შესწავლა შეიძლება გახდეს დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის ჩამოყალიბების მნიშნელოვანი კომპონენტი. ამ თემის დასამუშავებლად მე და ჩემმა კურსელმა – **თინათინ ვაშაკიძემ** საკმაოდ ხანგრძლივი გზა გავიარეთ, დაგვჭირდა მრავალი თეორიის, კვლევისა თუ სტატიის დოკუმენტური ანალიზი", – აღნიშნავს თამთა და ამბობს: – „შედეგად გავედით დასკვნაზე – კრიმინალურ ქცევაზე ისეთი გარეგანი ფაქტორები ახდენენ გავლენას, როგორებიცაა: ოჯახი, თანატოლები, სკოლა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მასმედია, ძალადობისა თუ შევიწროვების გამოცდილება, საზოგადოებრივი ღირებულებები, მავნე ნივთიერებების მოხმარება და სხვა. მიმოხილული გარემო ფაქტორების ზემოქმედების შემთხვევაში მართალია იზრდება კრიმინალური ქცევის გამოვლენის ალბათობა, თუმცა ამის გარანტია მაინც არ გვეძლევა. „ადამიანი სოციალური არსებაა" – ამბობს არისტოტელე – მაშასადამე, სოციუმი ქმნის არა მხოლოდ სოციალურ კონტექსტს, რომელიც ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს ქცევას, არამედ იგი აყალიბებს პიროვნების იდენტობასაც, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია".

ბლიც-ინტერვიუ

– რატომ აირჩიე შენი პროფესია და რამდენად მოგწონს?

– პროფესიის არჩევა ბევრისთვის მარტივი არ არის, ასევე იყო ჩემთვისაც. ბევრი ფიქრისა თუ განსჯის შემდეგ ავირჩიე ფსიქოლოგია – ამის მთავარი მიზეზი კი ამ სფეროსადმი დიდი ინტერესი იყო. ჩემთვის ადამიანის ბუნება, მისი ქცევა და ქცევის მიზეზები ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანია. დღეს-დღეობით, რაც უფრო მეტს ვიგებ თუ ვსწავლობ, მით უფრო იზრდება ინტერესი და სიყვარული ამ პროფესიისადმი.

– რა ცოდნას გაძლევს უნივერსიტეტი?

– ვფიქრობ, უნივერსიტეტი მაძლევს ისეთ ცოდნას, რომელიც მყარ საძირკველს უქმნის ჩემს კარიერას.

– რა პრობლემას გამოკვეთდი საუნივერსიტეტო ცხოვრებიდან?

– უნივერსიტეტში, ყველა კორპუსში, სამწუხაროდ, არ არის სტუდენტებისთვის სივრცე, სადაც თავშეყრას შეძლებენ.

– რა სურვილები გაქვს, რაც უნივერსიტეტს და შენს სტუდენტობას უკავშირდება?

– მსურს ისეთი ცოდნისა და გამოცდილების დაგროვება, რომელიც პროფესიულ წინსვლაში გამომადგება.

ელენე მიქანაძე დეზინფორმაციულ ნარატივებთან დაკავშირებულ საფრთხეებს იკვლევს

„დეზინფორმაციული ნარატივები უკრაინელი მიგრანტების გარშემო: თავისებურებები და საფრთხეები" – ამ სახელწოდებით წარადგინა თავისი მოხსენება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მესამე კურსის სტუდენტმა ელენე მიქანაძემ ინტერდისციპლინურ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც ორი ფაკულტეტის – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტების ეგიდით ჩატარდა.

– რატომ დაინტერესდა ამ თემით და რა პროცესი გაიარა თემის დასამუშავებლად? – ამ კითხვაზე პასუხად ელენე გვიმხელს, რომ კვლევა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ჩეხეთში სწავლისას დაიწყო.

„უკრაინელი მიგრანტების წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ განსაკუთრებით დავინტერესდი, როდესაც გაცვლითი პროგრამით ვსწავლობდი კარლის უნივერსიტეტში, ჩეხეთში. იქ უკრაინელმა პროფესორმა ვალერია კორაბლოვამ გამაცნო პოსტ საბჭოთა უკრაინის ისტორიის მთავარი მოვლენები და ახლანდელი ომის დინამიკა. შევეხეთ უკრაინელ მიგრანტებსაც და საკითხის შესწავლისას დავინახე დეზინფორმაციის საფრთხეებიც. შესაბამისად, გადავწყვიტე, რომ ჩეხეთში დაწყებული კვლევა აქ დამემთავრებინა და აუდიტორიისთვის გამეცნო დეზინფორმაციული ნარატივების გავლენის პოტენციური საფრთხეები. ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიგრანტთა კრიზისი. შესაბამისად, დეზინფორმაციამ და გავლენის ოპერაციებმა სრულიად ახალი ფრონტი გახსნა რუსული პროპაგანდისთვის. დეზინფორმაციული ნარატივების გავრცელებასთან ბრძოლა ძალიან დიდი გამოწვევაა ევროკავშირის სახელმწიფოებში და, ასევე, საქართველოშიც. ამიტომაც მომავალში კვლავ გავაგრძელებ ამ თემის შესწავლას", – ამბობს ელენე მიქანაძე.

კონფერენციაზე ყველა მონაწილე წარადგენდა კვლევის დასკვნას, რომელსაც დიდი მუშაობის შედეგად აყალიბებდნენ.

რა დასკვნა დადო ელენე მიქანაძემ, რომელიც მიგრანტთა საფრთხეებზე საუბრისას შესანიშნავი ანალიზის უნარ-ჩვევებს ავლენს.

„დეზინფორმაციული ნარატივების გავრცელება ეფექტურია მაშინ, როდესაც ის დაკავშირებულია საზოგადოების წინასწარ განწყობებთან. ევროპაში დეზინფორმაციისა და კრემლისტური ნარატივის გამავრცელებელი აქტორები იყენებენ ყველა შესაძლებლობას უკმაყოფილებისა და დაძაბულობის შესაქმნელად. ევროკავშირის მოქალაქეები გრძნობენ სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტებს უკრაინაში ომის შედეგად. ზოგადად, მიგრანტები დეზინფორმაციულ ნარატივებში ჩანან, როგორც საფრთხე ძირითადად სამი მიმართულებით: ჯანმრთელობა (მაგალითად, მიგრანტები, როგორც დაავადებების გამავრცელებელნი), სიმდიდრე (კონკურენცია სამუშაო ადგილების მოსაპოვებლად), იდენტობა (საფრთხე ქვეყნის ღირებულებების შესანარჩუნებლად). უკრაინელი მიგრანტების შემთხვევა განსხვავებულია იმ კუთხით, რომ ევროპული საზოგადოება უკრაინელ მიგრანტებს არ განიხილავს როგორც იდენტობის დაკარგვის საფრთხის წყაროს. მიუხედავად ამისა, უკრაინელ მიგრანტებს შორის დეზინფორმაციის გავრცელებისთვის სხვადასხვა ხერხია გამოყენებული, მათ შორის, უკრაინის ისტორიული ურთიერთობების განხილვა კონკრეტულ მასპინძელ ქვეყნებთან.

განვიხილე პოლონეთისა და გერმანიის მაგალითები. პოლონეთმა მიიღო ყველაზე მეტი უკრაინელი მიგრანტი და, შესაბამისად, ეს ქვეყანა გახდა კრემლისტური პროპაგანდის მთავარი N 1 სამიზნე. მიუხედავად ამ მცდელობებისა, პოლონელების მხარდაჭერა უკრაინელი მიგრანტების მიმართ ძლიერია. გერმანიის ანტიმიგრანტულ დემონსტრაციებში კი ის ჯგუფები იყვნენ ჩართულნი, რომლებმაც თავი დაგვამახსოვრეს ანტივაქსერული პროტესტით. შესაბამისად, ვხედავთ, რომ აღნიშნულ დემონსტრაციებში ერთი და იგივე პოლიტიკური ჯგუფები მონაწილეობენ.

კვლევისას გამოვლინდნენ დეზინფორმაციის გამავრცელებელი კრემლისტური ჯგუფები და გამოიკვეთა რუსებისა და ექსტრემისტული ჯგუფების „კოორდინაცია". ასევე, ზოგიერითი ანგარიშის მიზანია ფულის გამომუშავება რეკლამიდან. დაბალი ხელმისაწვდომობის პროფილები ერთდროულად ავრცელებს არაზუსტ ამბებს ლტოლვილების შესახებ, რაც არის დაგეგმილი კამპანია. ასევე, სხვადასხვა პოლიტიკური პარტია იყენებს ანტიმიგრანტულ განწყობებს მხარდაჭერის მოსაპოვებლად", – ასკვნის ელენე, რომელიც კვლავ განაგრძობს თემაზე მუშაობას.

– რა ცოდნას გაძლევს უნივერსიტეტი?

– ჩემი ლექტორები მიზიარებენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას, რაც მეხმარება, რომ კარიერულად სწორად განვვითარდე. ასევე, უნივერსიტეტში ხშირად სხვადასხვა მიმართულებიდან ვირჩევ საგნებს იმისთვის, რომ გარკვეული საკითხები განსხვავებული პერსპექტივიდან შევისწავლო. ამასთანავე, ხშირად ვცდილობ – აქტიურად დავესწრო სტუდენტურ ღონისძიებებს.

– ვინ არის უნივერსიტეტში შენი საყვარელი ლექტორი?

– ეს ჩემთვის ძალიან რთული კითხვაა, თუმცალა გამოვყოფდი თორნიკე თურმანიძეს, რომელიც აღნიშნულ კონფერენციაზე ჩემი ხელმძღვანელი იყო. ამჟამად მასთან გავდივარ აშშ-ის საგარეო პოლიტიკას და მომავალში ვაპირებ ავიღო მისი საგანი საერთაშორისო უსაფრთხოების შესახებ. იგი გამოირჩევა პროფესიონალიზმით და გვეხმარება რთული საკითხების გაანალიზებაში. ასევე, არის ძალიან ყურადღებიანი, როდესაც გვაინტერესებს გარკვეული თემის სიღრმისეული კვლევა.

– რა პრობლემას გამოკვეთდი საუნივერსიტეტო ცხოვრებიდან?

– სამწუხაროდ, უნივერსიტეტში არაერთ პრობლემას ვხვდებით. პირველ რიგში, გამოვკვეთდი სტუდენტური საცხოვრებლის პრობლემას. ეს თემა განსაკუთრებით გამწვავდა რუსების მიგრაციის შემდეგ და დღეს სტუდენტები არაერთ პრობლემას აწყდებიან ქირის მაღალი ფასების გამო. ასევე, უნდა აღვნიშნო ტექნიკური გაუმართაობა აუდიტორიებში, როდესაც არ გვაქვს პროექტორის გამოყენების საშუალება.

იურისტის სიტყვა

ნინო ჯაჯულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის პირველკურსელი ირაკლი ლეონიძე ამავე ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულია.

2022 წლის 20 ივლისს იურიდიული ფაკულტეტის გამოსაშვებ ღონისძიებაზე ირაკლი სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საუკეთესო აკადემიური მოსწრების კურსდამთავრებულად დაასახელეს.

მისი სამაგისტრო ნაშრომი ეხებოდა ერთ-ერთ აქტუალურ თემას – სტაჟირების სამართლებრივ ბუნებას და შრომითი/გამოსაცდელი ვადით დადებული ხელშეკრულებებისგან გამიჯვნის მაკვალიფიცირებელ მახასიათებლებს. როგორც ირაკლი ამბობს: „კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საქართველოს შრომის კოდექსის მე-18 მუხლის შემუშავებისას სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული სტაჟირების ბუნება, რის გამოც სტაჟიორი დასაქმებულზე „სუსტი მხარის“ მდგომარეობაში აღმოჩნდა“.

ირაკლიმ ნაშრომის წარმატებით დაცვის შემდეგ კვლევის შედეგების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა გადაწყვიტა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ჟურნალ „მართლმსაჯულება და კანონის“ ზაფხულის ნომერში მკითხველს შესაძლებლობა ექნება გაეცნოს ირაკლის სტატიას სტაჟირების სამართლებრივი ბუნებისა და საქართველოს შრომის კოდექსის მე-18 მუხლის სრულყოფის საჭიროებაზე. ასევე, იგი აპირებს გააკეთოს მოხსენება თემაზე: „სტაჟირების მნიშვნელობა სტუდენტების დასაქმებისა და პროფესიული წინსვლის ხელმისაწვდომობისთვის“ – თსუ-ს ჰუმანიტარული და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულების პროექტის – XII საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციის ფარგლებში.

„მიღწეულ წარმატებას ყოველდღიურ შრომას და ძალისხმევას ვუკავშირებ, რამაც განსაზღვრა ჩემი გეგმები სადოქტორო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. ამავდროულად, დაინტერესებული ვარ საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებით, რამაც განაპირობა მეორე პროფესიული არჩევანი და ამავე სახელწოდების სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარება. 2019 წელს სტაჟირება დავიწყე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნულ ცენტრში: საორგანიზაციო, კვლევითი და სარედაქციო მიმართულებით, შემდგომში გავხდი მკვლევარი. ამავე დროს, მონაწილეობას ვიღებდი დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ სტაჟირების პროგრამებში. აქტიურად ვარ ჩართული იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალების ტექნიკურ და სარედაქციო საქმიანობაში. დღესდღეობით, დასაქმებული ვარ თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურში მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე, ხოლო 2023 წლიდან ვარ სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ სერტიფიცირებული მედიატორი“, – ამბობს ირაკლი ლეონიძე.

სადოქტორო თემა

დოქტორანტი ამჯერად თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ნათია ჩიტაშვილის ხელმძღვანელობით მუშაობს სადოქტორო თემაზე, რომელიც ეხება ანდერძის თავისუფლების ფარგლებს მემკვიდრეობით სამართალში. ირაკლი ქალბატონ ნათიას მხარდაჭერისთვის განსაკუთრებულ მადლობას უხდის.

როგორც დოქტორანტი განმარტავს – კვლევის მიზანია სამკვიდრო ქონების ანდერძით გადაცემის შესაძლებლობების სისტემური ანალიზი ქართულ სამართალში. შერჩეული თემა ეხება ანდერძის თავისუფლების მრავალასპექტიან საკითხებს: ანდერძის ფორმისა და შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებას, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას, უღირსი მემკვიდრის საკითხის განსხვავებას მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევასა და უღირს მემკვიდრედ პირის მიჩნევას შორის,

სავალდებულო წილის მიმართებას ანდერძის შინაარსთან, ანდერძის ბათილობის საკითხებს, დაუბადებელ ბავშვზე ანდერძით ქონების გადასვლას, კომლის საკუთრების ანდერძით გადაცემას, რთულ შემთხვევებს სასამართლო პრაქტიკაში და უფლების დაცვის საშუალებებს.

„შევეცდები პასუხი გავცე შეკითხვას – თუ რა კავშირია კერძო ავტონომიასა და ანდერძის თავისუფლებას შორის? რამდენად ფართოა კერძო ავტონომიის ცნება და აქვს თუ არა ამ ორ მოვლენას ურთიერთმფარავი სამართლებრივი ბუნება? ვფიქრობ, აღნიშნული საკითხების გამოკვლევა ხელს შეუწყობს ანდერძით მემკვიდრეობის შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას, პრობლემების გამოკვეთას, ეფექტური მეთოდების დასახვასა და იურიდიული ლიტერატურის გამდიდრებას“, – აღნიშნავს ირაკლი ლეონიძე.

2023 წელი – განსაკუთრებული სიახლეების წელი

სადოქტორო საფეხურზე სწავლის დაწყებასთან ერთად, ირაკლი ლეონიძემ გადაწყვიტა – სათანადო დრო დაუთმოს საკომლო საკუთრების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

„საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალში“ თანაავტორობით გამოქვეყნებული სტატია კომლის საკუთრების საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორების მნიშვნელობას ეხება, ხოლო ჟურნალ „მართლმსაჯულება და კანონში“ – კომლის შემადგენლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მემკვიდრეობით მიღების პრობლემაზე გავამახვილე ყურადღება. ამავდროულად, დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენციებისთვის ვმუშაობ შემდეგ თემებზე: კომლის მემკვიდრის სტატუსი და სახეები; მიწის საკუთრების სოციალური სისტემის ცვლილება და მოქალაქეთა ინფორმირებულობის მნიშვნელობა; დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა საკომლო ქონების კერძო საკუთრებად გარდაქმნის მაგალითზე“, – გვიხსნის ირაკლი და უდიდეს მადლიერებას გამოხატავს მისი ფაკულტეტის მიმართ, რომელმაც მას, სწავლის პარალელურად, დასაქმებისა და სამეცნიერო საქმიანობის შესაძლებლობა მისცა.

„მიღებული განათლება, ურთიერთობა და მხარდაჭერა მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ცოდნისა და რესურსის გამოყენებას შევძლებ სამეცნიერო და აკადემიურ სფეროში“, – ამბობს ირაკლი.

ბლიც–ინტერვიუ

– რატომ აირჩიე ეს პროფესია?

– ვფიქრობდი, თუ რა კავშირი შეიძლება ყოფილიყო სამართალსა და სამართლიანობას შორის, რა შეიძლება გამეკეთებინა მოქალაქეთა უფლებების დასაცავად, ამიტომ, გადავწყვიტე ეს პროფესია სიღრმისეულად შემესწავლა.

– რა ცოდნას გაძლევს უნივერსიტეტი?

– უმთავრესად, ეს არის ღირებული პროფესიული განათლება. უნივერსიტეტში სწავლის წლებმა გამორჩეული მეგობრები, ურთიერთობები, საუკეთესო ლექტორები და პროფესიისადმი სიყვარული შემძინა. მიყვარს ჩემი უნივერსიტეტი და აქ გატარებული თითოეული წამი.

– რა რჩევას გაუზიარებდი სტუდენტებს?

– სტუდენტებს ვურჩევდი, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ ის შესაძლებლობები, რასაც უნივერსიტეტი მათ სთავაზობს – არ დაინანონ შრომა, ნუ შეუშინდებიან სირთულეებს, იბრძოლონ საკუთარი წარმატებისა და უკეთესი მომავლისათვის.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ახალი ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა შეიქმნა

ნატო ობოლაძე

თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ახალი ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა – „კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და ემიგრაციის კვლევები“ შეიქმნა. პროგრამა აკრედიტებულია და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორების – ლალი სურმანიძისა და ვლადიმერ გამსახურდიას ხელმძღვანელობით განხორციელდება.

„ეს სადოქტორო პროგრამა უნიკალურია და ანალოგი არ გააჩნია საქართველოში“, – განმარტავენ პროგრამის ხელმძღვანელები – „მისი განხორციელება უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ინტერდისციპლინური და ტრანსდისციპლინური სოციალური მეცნიერების განვითარებაში. სადოქტორო პროგრამის მიზნებია:

• მაღალკვალიფიციურ პროფესიონალთა ჩამოყალიბება, რომლებსაც შეუძლიათ ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის, კულტურული პერსონოლოგიისაა და ემიგრაციის კვლევების სფეროში ახალი მეცნიერული ცოდნის გენერირება, აქტუალური თეორიული საკითხების დამუშავება, კულტურულ-ფსიქოლოგიური რესურსის ინტეგრირება ფსიქოლოგიისა და ანთროპოლოგიის სფეროთა დასაახლოებლად;

• მაღალკვალიფიციურ მკვლევართა მომზადება, რომლებსაც მულტიდისციპლინურ და ინტერდისციპლინურ მიდგომებზე დაყრდნობით შეუძლიათ სინთეზური კვლევითი სტრატეგიების/მეთოდების გამოყენება/შექმნა, ახალი სამეცნიერო იდეებისა და პრაქტიკული ინოვაციების შემუშავება, სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების მქონე დასკვნების გაკეთება ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებით;

ვლადიმერ გამსახურდია

• უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური თანამდებობის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების მქონე, დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ინტერდისციპლინურად მოაზროვნე პედაგოგიური კადრების მომზადება, რომელთა საქმიანობა ხელს შეუწყობს ინტერდისციპლინური მეცნიერული აზროვნების და ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სფეროს განვითარებას საქართველოში.

• სამეცნიერო პერსონალის მომზადება, ვინც უმაღლესი ფსიქიკური პროცესების კულტურული საფუძვლების შესახებ არსებული თეორიული მიდგომების ინოვაციურ განვითარებას შეძლებს;

• მაღალი დონის მკვლევრების მომზადებას, ვინც ემიგრაციის პროცესის სიღრმისეულ კვლევას, ემიგრანტთა ადაპტაციური პროცესების თეორიულ მოდელირებასა და მათ კეთილდღეობაზე ორიენტირებული ეფექტური პოლიტიკის (policy) შემუშავებას შეძლებს“.

„პროგრამა თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის, კულტურული პერსონოლოგიისა და ემიგრაციის კვლევების თეორიულ პარადიგმათა კრიტიკულად გააზრებისა და შემოქმედებითი ხედვის საფუძველზე, საკვლევი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ქმნის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით გამოიყენებს სინთეზურ, ინოვაციურ მეთოდოლოგიებს; ინტერდისციპლინური აზროვნებისა და კვლევის შედეგების საფუძველზე ახდენს ახალი ცოდნის გენერირებას“, – აღნიშნულია პროგრამის აღწერილობაში – „სისტემურად იაზრებს თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის, კულტურული პერსონოლოგიისა და ემიგრაციის კვლევების კავშირს მომიჯნავე სამეცნიერო სფეროებთან და ახდენს ამ სფეროებში არსებული ცოდნის ინტეგრირებას ფსიქოანთროპოლოგიურ კვლევაში. შემოქმედებითად და პრობლემურად იაზრებს თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის, კულტურული პერსონოლოგიისა და ემიგრაციის კვლევების გამოწვევებსა და გადაჭრის გზებს; უახლეს მიღწევებზე დამყარებული სისტემური ცოდნის საფუძველზე, კრიტიკულად აანალიზებს ამ მიმართულებით არსებულ თეორიულ მოდელებსა და კვლევით მონაცემებს“.

„კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და ემიგრაციის კვლევების“ პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროებია:

• ადამიანისა (სოციოჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო ორიენტაციის) და კულტურული სპეციფიკის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი ცენტრები/ინსტიტუტები;

• უმაღლესი სასწავლებლები;

• სამთავრობო და კერძო სტრუქტურები, რომელთა ინტერესები მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს დინამიკის შესწავლას და სტრატეგიის შემუშავებას (ეკონომიკა, ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი, განათლება, მედიცინა, მასმედია, პოლიტიკა, სამართალი, მომსახურების სფერო და ა.შ.);

• მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციაზე/ფართო კონტექსტში წარმოჩენაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სტრუქტურები და ჯგუფები (მუზეუმები, საგამოფენო გალერეები).

• ემიგრანტთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ყოფილ ემიგრანტთა ინტეგრაციაზე მომუშავე სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტების სტაჟირება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია დისერტაციის შეფასების პროცესში უცხოელი რეცენზენტების მონაწილეობაც.

სტუდენტური ფურცელი

tsu.media

თსუ-ში ძირითადი პროგრამისა და უკვე სპეციალობის სახით დაფუძნდა იაპონისტიკა და ჩინეთმცოდნეობა

შერთხია ბერიშვილი

„იაპონური კულტურის დღე“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იაპონისტიკის მიმართულების (მეიჯორ) პროგრამად ფორმირებას მიეძღვნა. როგორც თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „შორეული აღმოსავლეთის – იაპონისტიკისა და სინოლოგიის“ მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი ნანა გელაშვილი ჩვენთან საუბარში აცხადებს, „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აკრედიტაციის წარმატებით გავლის შემდეგ გაზაფხულის სემესტრიდან ამოქმედდა ახალი პროგრამა“.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის პირველი უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ძირითადი პროგრამისა და უკვე სპეციალობის სახით დაფუძნდა იაპონისტიკა და ჩინეთმცოდნეობა.

ქალბატონი ნანა გელაშვილი ამბობს, რომ თსუ-ს სტუდენტები მოუთმენლად ელოდნენ – ეს პროგრამა მათთვის ძირითადი სპეციალობა ყოფილიყო. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ თსუ-ში „იაპონური კულტურის დღე“ მრავალფეროვანი და საინტერესო ღონისძიებით აღინიშნა. ღონისძიებას თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, საქართველოში იაპონიის სრულუფლებიანი ელჩი აკირა იმამურა, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ნანა გაფრინდაშვილი, იაპონისტიკის მიმართულების სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო იაპონური ხელოვნების ეგზოტიკური დარგები, მათ შორის, ორიგამის ხელოვნება, კალიგრაფიის ხელოვნება, ნაჩვენები იყო იაპონური საბრძოლო ხელოვნება, სტუდენტებმა შეასრულეს იაპონური

> საელჩო ყოველწლიურად მართავს გამოცდებს, რომელში გამარჯვებული სტუდენტიც ჯილდოვდება იაპონიის უმაღლეს სასწავლებელში გრძელვადიანი სტაჟირების გავლის შესაძლებლობით. სტუდენტთა სტიმულირებას ისიც უწყობს ხელს, რომ იაპონიაში სტაჟირებას მიმწვევი მხარე სრულად აფინანსებს

სიმღერები და წაიკითხეს იაპონელი მწერლების ლექსები.

ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა თსუ-ს რექტორი ჯაბა სამუშია, რომელმაც მადლობა გადაუხადა იაპონიის ელჩს აკირა იმამურას თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტთან აქტიური თანამშრომლობისთვის და საქართველოში ამ დარგის განვითარებაში შეტანილი დამსახურებისთვის. „დღეს უნივერსიტეტში იაპონიის დღეებს ვზეიმობთ, რომელშიც ძალიან აქტიურად არიან ჩართული სტუდენტები, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ უნივერსიტეტში ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულება შეიქმნა და ვითარდება. ამ კუთხით ბევრი გეგმა გვაქვს განსახორციელებელი და ამ თვალსაზრისით არაერთი ნაბიჯის გადადგმას ვგეგმავთ საქართველოსა და იაპონიას შორის სამეცნიერო და სასწალო პროცესის განვითარების მხრივ. მადლობა გვინდა გადავუხადოთ პროფესორ ნანა გელაშვილს, რომელიც მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების შესწავლის განვითარებისათვის საქართველოში, რაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

მოგეხსენებათ, საქართველოში შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებით დაინტერესებას ხანგრძლივი ისტორია აქვს: ქართველებს იაპონიაზე ჯერ კიდევ შუასაუკუნეებიდან ჰქონდათ წარმოდგენა. განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ამ მხრივ მეცხრამეტე საუკუნეში – ქართული პრესა აქტიურად აშუქებდა ინფორმაციას აღმოსავლური, მათ შორის, იაპონიის ცივილიზაციის შესახებ. სასიამოვნოა, რომ დღევანდელ ღონისძიებას ესწრება იაპონიის ელჩი, რომელიც ქართული კულტურის დიდი მოამაგეა. ეს მეგობრობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია“, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

პროფესორმა ნანა გელაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა იაპონიის საელჩოს განსაკუთრებული ხელშეწყობისთვის და აღნიშნა: „იაპონიის სამთავრობო გრანტისა და საელჩოს თანადგომით გაიხსნა უნივერსიტეტში „იაპონური კულტურის ცენტრი“, რომელიც აღჭურვილია უახლესი კომპიუტერული ტექნიკით, ლიტერატურით... გარდა ამისა, ჩართული ვართ იაპონიის საელჩოს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში. სტუდენტებისათვის კი ძალიან დიდი სტიმულის მომცემია ის გარემოება, რომ საელჩო ყოველწლიურად მართავს გამოცდებს, რომელში გამარჯვებული სტუდენტიც ჯილდოვდება იაპონიის უმაღლეს სასწავლებელში გრძელვადიანი სტაჟირების გავლის შესაძლებლობით. სტუდენტთა სტიმულირებას ისიც უწყობს ხელს, რომ იაპონიაში სტაჟირებას მიმწვევი მხარე სრულად აფინანსებს“, – განაცხადა ნანა გელაშვილმა.

სტუდენტური ოცნებები იაპონიის მონახულებას უკავშირდება „იაპონური კულტურის დღე“ განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო სტუდენტებისთვის, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა აქტივობებში.

როგორც თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტმა ნიკა დოდაშვილმა გვითხრა, იაპონური კულტურით დიდი ხანია დაინტერესდა, რადგან მოსწონს და იზიდავს ამ ხალხის ტრადიციები, ეგზოტიკა... „მომავალში, მინდა, უფრო ღრმად შევისწავლო იაპონიის ისტორია, ზოგადად, შორეული აღმოსავლეთის ისტორია და კულტურა. ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ ამ მიმართულებით ვაპირებ სწავლის გაგრძელებას. აქტიურად ვსწავლობ იაპონურ ენას და იმედია – მომავალში ამ საოცარ ქვეყანასაც მოვინახულებ. უნივერსიტეტი მაძლევს იმის საშუალებას, რომ ჩემი ოცნებები ავიხდინო“, – ამბობს ნიკა დოდაშვილი, რომელმაც ღონისძიებაზე გუნდთან ერთად იმღერა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების მეორე კურსის სტუდენტის ალექსანდრე ალიმბარაშვილის აზრით, შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები და, მათ შორის, იაპონია განსაკუთრებული თავისებურებებით გამოირჩევიან. „ძალიან მომწონს იაპონური ხელოვნება, რომელიც გვაოცებს თავისი მშვენიერებით. მიმართულებაზე ყველა პირობაა იმისთვის შექმნილი, რომ ჩვენი ცოდნა გავიღრმავოთ და გაცვლით პროგრამებში მივიღოთ მონაწილეობა. მიხარია, რომ აკრედიტაციის შემდეგ კიდევ უფრო უკეთესობისკენ შეიცვალა ვითარება, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ცოდნის მიღების კუთხით ყველაფერი კეთდება“, – ამბობს ალექსანდრე ალიმბარაშვილი.

* * *

ღონისძიების ფარგლებში იაპონიის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში აკირა იმამურამ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველო-იაპონიის ურთიერთობები“.

ნანა გელაშვილი

თსუ-ს მეცნიერებმა ნახშირბადოვანი სორბენტების მიღების უნიკალური მეთოდი შეიმუშავეს

ნატო ობოლაძე

თსუ-ს რ. აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში მეორადი ცელულოზაშემცველი ნედლეულიდან (იგულისხმება სოფლის მეურნეობის ნარჩენები: ნახერხი, თხილისა და კაკლის ნაჭუჭი და ა.შ.) ნახშირბადოვანი სორბენტების მიღების უნიკალური მეთოდი შეიმუშავეს.

„ნარჩენების უტილიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ რთულ მეცნიერულ პრობლემას ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ და ეკონომიურ ჭრილში. მსოფლიოში ინტენსიურად მიმდინარეობს ნარჩენების გადამუშავების და უტილიზაციის ტექნოლოგიების აქტიური ძიება, ეკოლოგიის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

ჩვენი კვლევის მიზანსაც წარმოადგენდა ისეთი ტექნოლოგიური მეთოდის შემუშავება, რომელიც მოგვცემდა ერთდროულად ორი პრობლემის მოგვარების შესაძლებლობას – ნარჩენების უტილიზაცია და, იმავდროულად, მათგან ფასეული სასაქონლო პროდუქტის წარმოება“, – განმარტავს მკვლევართა ჯგუფი.

ჩვენ მიერ მიღებული ნახშირბადოვანი მასალისგან შეიძლება დამზადდეს კონტაქტური ფილტრი, რომელიც უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლებიდან მავნე ნივთიერებების მოცილებას.

„ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ შემუშავებული იქნა ტექნოლოგიური მეთოდი ცელულოზის ბოჭკოს შემცველი საყოფაცხოვრებო ნარჩენებიდან (თხილის და კაკლის ნაჭუჭები, ვაშლატამას კურკები და ა.შ.) განსაზღვრული თვისებების, მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა და იაფი ნახშირბადოვანი მასალის (სორბენტის) მისაღებად. როგორც აირად, ისე თხევად არეში, გასუფთავების ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდებს შორის გამოირჩევა ადსორბცია, როგორც უნივერსალური პროცესი, რომელიც საშუალებას იძლევა თითქმის სრულად იქნას მოცილებილი ტოქსიკური მინარევები. მრავალი პრაქტიკული პრობლემის წარმატებული გადაწყვეტაა შესაძლებელი ოპტიმალური ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მქონე სორბენტების შერჩევით. ამჟამად, ყველაზე უნივერსალურ სორბენტებს მიეკუთვნება ნახშირბადოვანი მასალები მათი გამორჩეული უნარის გამო – ამოიღონ სხვადასხვა არაორგანული და ორგანული დამაბინძურებლები წყლიდან. ჩვენი ტექნოლოგიის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ გამოიყენება სხვადასხვა ნედლეულისთვის. პროცესი ერთსტადიურია – მიიღება მაღალი ხვედრითი ზედაპირის მქონე იაფი სორბენტი ნედლეულის წინასწარი დამუშავებისა და აქტივაციის გარეშე. ამასთანავე, პროცესში წარმოქმნილი სხვადასხვა საწვავი აირი გამოიყენება ამ პროცესშივე, როგორც ენერგეტიკული წყარო“, – აზუსტებს ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ნათელა ანანიაშვილი.

კვლევის ფარგლებში რამდენიმე დისერტაცია, სამაგისტრო ნაშრომი, 25-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია, 3 გამოგონება და საერთაშორისო კვლევითი პროექტი განხორციელდა. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულია პატენტი [P 2021 7309 B].

„თანამედროვე სამყაროში წყლის ხარისხი აქტუალური პრობლემაა. საქართველოში ეს საკითხი იმდენად მწვავედ არ დგას, რამდენადაც, მაგალითად, ისრაელში, ინდოეთში, არაბეთის ქვეყნებში და ა.შ. ნებისმიერ ადგილზე სასმელი და ჩამდინარე წყალი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტებს, განსაკუთრებით, თუ ისინი საავადმყოფოებიდან, ქარხნებიდან ან კვლევითი ინსტიტუტებიდან ჩამდინარე წყლებია. ამ შემთხვევაში აუცილებელია მათი გაფილტვრა, სანამ ცენტრალურ კანალიზაციის სისტემას შეუერთდება, სწორედ ამისთვის ვიყენებთ სორბენტებს. აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ჩვენ მიერ მიღებული ხელმისაწვდომი სორბენტების გამოყენებით, მძიმე მეტალებით (Pb^{2+}, Cu^{2+}, Fe^{2+}, Co^{2+}, Cd^{2+}) და ფარმაცევტული ნარჩენებით (პარაცეტამოლი, ტეტრაციკლინი, ასპირინი და ა.შ.) დაბინძურებული წყლის გასუფთავების ეკონომიური და ეფექტური გზის გამონახვა.

კვლევებით დადგინდა, რომ ჩვენ მიერ მიღებული ნახშირბადოვანი მასალები მათი კარგი სორბციული თვისებების, მაღალი ფორიანობის, განვითარებული ზედაპირისა და მექანიკური სიმტკიცის გამო შეიძლება განვიხილოთ, როგორც ტოქსიკური ნივთიერებებისაგან წყლის გაუვნებელყოფის ალტერნატიული, იაფი საშუალება.

სამრეწველო მასშტაბით მიღებული ნახშირბადოვანი მასალები კი საკმაოდ ძვირადღირებული სორბენტებია საწყისი ნედლეულის მაღალი ფასისა და წარმოების დიდი ენერგო-დანახარჯების გამო. მათი გამოყენება დიდი მოცულობის წყლის გასაწმენდად, რეგენერაციის გარეშე, ეკონომიური თვალსაზრისით, მიზანშეწონილი არ არის.

ჩვენ მიერ მიღებული ნახშირბადოვანი მასალისგან შეიძლება დამზადდეს კონტაქტური ფილტრი, რომელიც უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლებიდან მავნე ნივთიერებების მოცილებას. ასეთი ფილტრები წარმატებით შეიძლება ჩაინერგოს სამედიცინო, ასევე, ქიმიური და მეტალურგიული კომბინატებისა და ქარხნების თუ სხვა საწარმოების წყლის გამწმენდ სისტემებში. თსუ-ს მეცნიერების მიერ შემუშავებული სორბენტები უკვე პრაქტიკაშიც მოწმდება: შპს „სერვისების მართვის“ კომპანიამ მათგან დამზადებული ფილტრები წარმატებით გამოცადა სამედიცინო ქსელ „ევექსის“ ერთ-ერთი ფილიალის წყლის გამწმენდ ნაგებობაში“, – ამბობს ინსტიტუტის დირექტორი გრიგორ ტატიშვილი.

კვლევის პროცესი არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის რ. დოლონაძის სახელობის თეორიულ კვლევათა ლაბორატორიაში ამ დრომდე გრძელდება. სამუშაო პროცესში ჩართული ჯგუფი როგორც მეცნიერებს, ასევე, ახალგაზრდა მკვლევრებს – დოქტორანტებს აერთიანებს. პროექტს ახორციელებენ: თამაზ მარსაგიშვილი – რ. დოლონაძის სახ. თეორიულ კვლევათა ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი; გრიგორ ტატიშვილი – ინსტიტუტის დირექტორი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი; ნათელა ანანიაშვილი – მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ინსტიტუტის სწავლული მდივანი; მანანა გაჩეჩილაძე – უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; ელიზავეტა ცხაკაია – უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; მარინე მაჭავარიანი – უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; ზურაბ სამხარაძე – მეცნიერ-თანამშრომელი, დოქტორანტი; ნინო გიორგაძე – მეცნიერ-თანამშრომელი, დოქტორანტი; სოფო ცქიტიშვილი – ინჟინერი; ანასტასია ჩიხლაძე – ლაბორანტი.

„ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევებით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული ტექნოლოგია ხელს შეუწყობს ნარჩენების სწორ და უსაფრთხო მართვას, წყლის გასასუფთავებლად ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიურად გამართლებული ტექნოლოგიების შემუშავებას, რაც იქნება ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ჩვენს ქვეყანაში ცირკულარული ეკონომიკის საერთაშორისო პრინციპების დანერგვისათვის“, – განმარტავს ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ელიზავეტა ცხაკაია.

არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის რ. დოლონაძის სახელობის თეორიულ კვლევათა ლაბორატორიაში სორბენტების ჰაერის გასაწმენდად გამოყენების შესაძლებლობების დადგენაზეც მუშაობენ. ამ მიმართულებით მკვლევართა ჯგუფს პროექტი – „Development of sorbents for capturing carbon dioxide and catalysts for its utilization by methane into syngas“ – საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცენტრის (ISTC) საგრანტო კონკურსზე აქვს წარდგენილი.

ელიზავეტა ცხაკაია

ნათელა ანანიაშვილი

გრიგოლ ტატიშვილი

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲘᲛᲔᲓᲐᲫᲘᲡ ᲜᲐᲛᲝᲚᲕᲐᲬᲐᲠᲘᲗ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ „ᲘᲙᲕᲔᲑᲔᲑᲐ“

ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ კონკურსზე წარდგენილ კანდიდატთა შორის შერჩევის შედეგად აკადემიკოსად არჩეულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 4 წარმომადგენელი: ფსიქოლოგი, თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **ირაკლი იმედაძე**; თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ინფორმაციის დამუშავებისა და სტატისტიკური ანალიზის სპეციალისტი **ელიზბარ ნადარაია**; თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ფიზიკოსი **ალექსანდრე შენგელაია** და თსუ-ს პროფესორი, ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ–თანამშრომელი **თორნიკე ქადეიშვილი**.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ თსუ-დან არჩეულ აკადემიკოსებს გაგაცნობთ. ამჯერად წარმოგიდგენთ თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს, აკადემიკოს ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲘᲛᲔᲓᲐᲫᲔᲡ.

თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიური საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი, ფსიქოლოგიის ისტორიის უბადლო სპეციალისტი ირაკლი იმედაძე, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 2009 წლიდან იყო, დღეს უკვე აკადემიკოსის ტიტულს ატარებს. „საკმარისად კარგად ვიცნობ იქაურობას, ჩართული ვარ აკადემიის საქმიანობაში და მეც, ასე თუ ისე, მიცნობენ. რასაკვირველია, აკადემიის ნამდვილი წევრის ტიტული დიდი დაფასებაა“, – ამბობს ირაკლი იმედაძე.

ირაკლი იმედაძე 2006 წლიდან 2011 წლამდე დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ და თსუ-ში ინსტიტუტის ფაქტობრივი დახურვის შემდეგ მოვიდა. „ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობა თავიდანვე დაკავშირებული იყო დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტთან, რომელშიც გავიარე ყველა საფეხური ასპირანტიდან მოყოლებული, ვიდრე ინსტიტუტის დირექტორობამდე. თსუ-ში მოვედი მას მერე, რაც, განათლებისა და მეცნიერების მინისტრ შაშკინისა და ილიას უნივერსიტეტის რექტორის გიგი თევზაძის მეცადინეობით, ეს უდიდესი ტრადიციებისა და საერთაშორისო ცნობადობის მქონე ინსტიტუტი 2011 წელს ჯერ მიუერთეს ილიას უნივერსიტეტს, ხოლო სამ თვეში დახურეს. ილიას უნივერსიტეტის სრული პროფესორის თანამდებობაც დამატოვებინეს“, – აღნიშნავს პროფესორი, რომელიც თავს გადახდენილი დრამატული ისტორიების მიუხედავად აქტიურად აგრძელებს თავის საქმიანობას უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის სტატუსით. თსუ-ში ირაკლი იმედაძეს ორი საავტორო კურსი – ფსიქოლოგიის ისტორია და ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები მიჰყავს. იგი, ასევე, მონაწილეობს ფსიქოლოგიის საფუძვლების სწავლების პროგრამაში.

ირაკლი იმედაძე მედიას ყოველთვის გაურბოდა თავმდაბლობის თუ სხვა მიზეზთა გამო და დღემდე ჩრდილში რჩებოდა მისი ნამოღვაწარი, რომლითაც მის დარგში მთელი საქართველო „იკვებება“. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ მასთან ექსკლუზიურ ინტერვიუს წარმოგიდგენთ და, მეტ-ნაკლებად, გაგაცნობთ მის აკადემიურ ღვაწლს.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

– ძირითადად რამ განსაზღვრა თქვენთვის აკადემიკოსის ტიტულის მონიჭება?

– ფსიქოლოგიური მეცნიერება საქართველოში ყოველთვის საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, რასაც განაპირობებდა დიმიტრი უზნაძის მიერ შექმნილი ძლიერი სამეცნიერო სკოლა. შესაბამისად, ფსიქოლოგია ყოველთვის სოლიდურად იყო წარმოდგენილი მეცნიერებათა აკადემიაში, დღიდან მისი დაარსებისა. თავად უზნაძე ერთ-ერთი იყო 16 დამფუძნებელ აკადემიკოს შორის. სხვადასხვა წლებში აკადემიის წევრები იყვნენ მისი სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ანგია ბოჭორიშვილი, ალექსანდრე ფრანგიშვილი, რევაზ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი. პირველი ორი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტიც კი იყო, რაც, ასევე, მათი პერსონის გარდა, დარგის დაფასებასაც ნიშნავდა. ვფიქრობ, რომ ჩემს დაწინაურებაში წევრ-კორესპონდენტობიდან ნამდვილ წევრამდე იგივე ფაქტორებს უნდა ეთამაშა უმთავრესი როლი.

– რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენი მონაწილეობით გამოცემული წიგნებით სწავლობენ ახალგაზრდები. გაგვაცანით თქვენი აკადემიური შემოქმედება...

– ამჟამად გამოქვეყნებულია 13 ჩემი მონოგრაფია და სახელმძღვანელო; კიდევ 3 წიგნი გამზადებულია და ელოდება გამოცემას. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, მე ვცდილობდი მაქსიმალურად მიმეახლოვებინა ისინი მსოფლიო სტანდარტებს. ამის საჭიროება გაჩნდა მაშინვე, როგორც კი დამოუკიდებლობის გზას დავადექით, ვინაიდან საბჭოთა დროინდელი სახელმძღვანელოები მაინც იდეოლოგიზირებული იყო. მსოფლიო სტანდარტი ნიშნავს, რომ მასში უნდა აისახოს ახალი მონაცემები (აქამდე არსებული სახელმძღვანელოები მოძველდა ამ მხრივ) და, რაც მთავარია, იგი მკითხველს შეუქმნის პირველად წარმოდგენას მთელს ფსიქოლოგიაზე. ე.ი. ზოგადი ფსიქოლოგიის თემატიკასთან ერთად მან უნდა მოიცვას სოციალური, კლინიკური, განვითარების და დიფერენციალური ფსიქოლოგიის ელემენტები. ასეთი სახელმძღვანელოს შექმნის პირობა დავდე საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტის არჩევნებისას და შევუდექი მუშაობას თანაავტორებთან ერთად. პირველი ვერსია – „ფსიქოლოგიის შესავალი“ – გამოიცა 2001 წელს, მეორე მნიშვნელოვნად შევსებული და გადაკეთებული – „ფსიქოლოგიის საფუძვლები“ – 2005-ში, შემდეგი – 2011 წელს. მოთხოვნა იყო არაჩვეულებრივად დიდი, ვინაიდან ამ წიგნებით მიმდინარეობს სწავლება მთელს საქართველოში; 2019 წელს გამოიცა ბოლო ვარიანტი, რომლის სახელწოდებაა „ფსიქოლოგია“, რომელშიც გათვალისწინებულია ყველაფერი – ახალი მონაცემებიც და სწავლების გამოცდილებაც.

> ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲔᲑᲡ, ᲛᲔ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲘ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲛᲔᲐᲮᲚᲝᲕᲔᲑᲘᲜᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲝᲑᲐ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ ᲓᲐᲕᲐᲓᲔᲥᲘᲗ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲔᲑᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲓᲔᲝᲚᲝ�გᲘᲖᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ.

– ძირითადად რამ განსაზღვრა თქვენთვის აკადემიკოსის ტიტულის მონიჭება?

– ფსიქოლოგიური მეცნიერება საქართველოში ყოველთვის საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, რასაც განაპირობებდა დიმიტრი უზნაძის მიერ შექმნილი ძლიერი სამეცნიერო სკოლა. შესაბამისად, ფსიქოლოგია ყოველთვის სოლიდურად იყო წარმოდგენილი მეცნიერებათა აკადემიაში, დღიდან მისი დაარსებისა. თავად უზნაძე ერთ-ერთი იყო 16 დამფუძნებელ აკადემიკოს შორის. სხვადასხვა წლებში აკადემიის წევრები იყვნენ მისი სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ანგია ბოჭორიშვილი, ალექსანდრე ფრანგიშვილი, რევაზ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი. პირველი ორი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტიც კი იყო, რაც, ასევე, მათი პერსონის გარდა, დარგის დაფასებასაც ნიშნავდა. ვფიქრობ, რომ ჩემს დაწინაურებაში წევრ-კორესპონდენტობიდან ნამდვილ წევრამდე იგივე ფაქტორებს უნდა ეთამაშა უმთავრესი როლი.

– რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენი მონაწილეობით გამოცემული წიგნებით სწავლობენ ახალგაზრდები. გაგვაცანით თქვენი აკადემიური შემოქმედება...

– ამჟამად გამოქვეყნებულია 13 ჩემი მონოგრაფია და სახელმძღვანელო; კიდევ 3 წიგნი გამზადებულია და ელოდება გამოცემას. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, მე ვცდილობდი მაქსიმალურად მიმეახლოვებინა ისინი მსოფლიო სტანდარტებს. ამის საჭიროება გაჩნდა მაშინვე, როგორც კი დამოუკიდებლობის გზას დავადექით, ვინაიდან საბჭოთა დროინდელი სახელმძღვანელოები მაინც იდეოლოგიზირებული იყო. მსოფლიო სტანდარტი ნიშნავს, რომ მასში უნდა აისახოს ახალი მონაცემები (აქამდე არსებული სახელმძღვანელოები მოძველდა ამ მხრივ) და, რაც მთავარია, იგი მკითხველს შეუქმნის პირველად წარმოდგენას მთელს ფსიქოლოგიაზე. ე.ი. ზოგადი ფსიქოლოგიის თემატიკასთან ერთად მან უნდა მოიცვას სოციალური, კლინიკური, განვითარების და დიფერენციალური ფსიქოლოგიის ელემენტები. ასეთი სახელმძღვანელოს შექმნის პირობა დავდე საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტის არჩევნებისას და შევუდექი მუშაობას თანაავტორებთან ერთად. პირველი ვერსია – „ფსიქოლოგიის შესავალი“ – გამოიცა 2001 წელს, მეორე მნიშვნელოვნად შევსებული და გადაკეთებული – „ფსიქოლოგიის საფუძვლები“ – 2005-ში, შემდეგი – 2011 წელს. მოთხოვნა იყო არაჩვეულებრივად დიდი, ვინაიდან ამ წიგნებით მიმდინარეობს სწავლება მთელს საქართველოში; 2019 წელს გამოიცა ბოლო ვარიანტი, რომლის სახელწოდებაა „ფსიქოლოგია“, რომელშიც გათვალისწინებულია ყველაფერი – ახალი მონაცემებიც და სწავლების გამოცდილებაც.

ჩემი კვლევა ფსიქოლოგიის ისტორიაში თავიდანვე ორი მიმართულებით წარიმართა: ქართული ფსიქოლოგიის ისტორიის შესწავლა და მსოფლიო ფსიქოლოგიის ისტორიის ანალიზი განწყობის თეორიის პოზიციიდან. ჩანაფიქრი მდგომარეობდა იმაში, რომ მოგვეცვა ფსიქოლოგიური აზროვნების ყველა ძირითადი ნიმუში უძველესი დროიდან დღევანდლამდე. ასეთი ამოცანა ჩვენში არავის დაუსახავს, შესაძლოა იმიტომ, რომ მისი განხორციელება უზარმაზარი სამუშაოს შესრულებას მოითხოვს. წიგნი „ფსიქოლოგიის ისტორია“ (2008) თხუთმეტ წელიწადზე მეტ ხანს იწერებოდა. მან შესამჩნევი ინტერესი გამოწვია არა მხოლოდ ფსიქოლოგებში, არამედ სოციალურ-ჰუმანიტარული სფეროს წარმომადგენლებშიც. ამიტომ გადამუშავებული და შევსებული სახით კიდევ ორჯერ გამოიცა.

მანამდე გამოვიდა წიგნი „XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები“ (2004), რომელიც აღინიშნა უზნაძის სახელობის პრემიით.

ამ ნაშრომების ძირითადი თავისებურება ისაა, რომ ანალიზი და შეფასება გარკვეული კონცეფციის, კერძოდ, განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის პოზიციიდან მიმდინარეობს. ამავე სულისკვეთებითაა შექმნილი თსუ-ს მიერ შარშან გამოცემული კაპიტალური მონოგრაფია – „თანამედროვე ფსიქოლოგია: ძირითადი მიმდინარეობები და განვითარების პერსპექტივები“, რომელშიც ტრადიციულ კონცეფციებთან ერთად კრიტიკულად გაანალიზებულია ფსიქოლოგიური აზრის სრულიად ახალი ნიმუშები; ამავე დროს, მოცემულია ფსიქოლოგიური მეცნიერების საკვანძო მეთოდოლოგიური პრობლემების ანალიზიც, როგორებიცაა, თავისუფლება-დეტერმინიზმი, ფსიქოფიზიკური და ფსიქოგენეტიკური პრობლემა, ფსიქიკის მოდელირების პრობლემა (ხელოვნური ინტელექტი) და სხვა. აქ და ისტორიის მონოგრაფიებში განხილულია საკუთრივ უზნაძის სკოლის მონაპოვარიც, ისევე, როგორც ქართული ფსიქოლოგიური აზრის უფრო ადრინდელი ნიმუშები, მოყოლებული სულხან-საბადან (ანტონი, იოანე ბაგრატიონი, გაბრიელ ქიქოძე, სოლომონ დოდაშვილი და სხვა).

რაც შეეხება განწყობის ფსიქოლოგიისა და ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ისტორიას, მასთან მიბრუნება მუდმივად მიწევდა და მიწევს. მაგალითად, 2021 წელს გამოვიდა წიგნი – „დისკუსიები განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის გარშემო“, რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი სკოლის ფუნქციონირების ყველაზე დრამატული მოვლენები. საუბარია განწყობის ფსიქოლოგიის გარშემო წარმართულ უმწვავეს დისკუსიებზე, როცა სკოლის არსებობა საბჭოთა იდეოლოგიის სასწორზე იდო და რომელთა შესახებ ჩვენი ფსიქოლოგების უმეტესობამ მხოლოდ ლეგენდების სახით იცის...

ჩემი თეორიული და მეთოდოლოგიური კვლევების ნაწილი განზოგადებულია 3 მონოგრაფიაში: „ქცევის კატეგორია და განწყობის თეორია“ (1991); „გამოკვლევები თეორიულ ფსიქოლოგიაში“ (2013); „განწყობის ონტოლოგიური ბუნება – ისტორიული და მეთოდოლოგიური ანალიზი“ (2019). გამოსაცემად გამზადებული მონოგრაფიებიც, უპირატესად, განწყობის თეორიის სრულყოფისა და შემდგომი განვითარების მიზანდასახულობით არის შექმნილი.

– რა სამომავლო გეგმები გაქვთ, როგორც უნივერსიტეტის პროფესორს და უკვე აკადემიკოსს?

მომავალ წლებში ჩემი კვლევა უფრო მეტად ფოკუსირებული იქნება, ზოგადად, ფსიქოლოგიის და, კერძოდ, განწყობის თეორიის მეთოდოლოგიის პრობლემატიკაზე. ვაპირებ ამ მიმართულებით კაპიტალური მონოგრაფიის შექმნას. პარალელურად მოვამზადებ სასწავლო კურსს ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიაში, რომლის საჭიროება ობიექტურად არსებობს. მზად ვარ გამოვიყენო ჩემი ახალი სტატუსი და ჩავება ყველა სასარგებლო წამოწყებაში, რაც სარგებლობას მოუტანს ფსიქოლოგიური მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. მოვახმარ ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას უნივერსიტეტის ენციკლოპედიის შექმნის საშურ საქმეს.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲐᲞᲐᲕᲐᲖᲔ

ᲜᲘᲜᲝ ᲯᲐᲯᲣᲚᲘᲐ

„მან სიცოცხლეშივე შეძლო ჭეშმარიტი მოძღვრის სახელის მოპოვება“, – ეს შეფასება ეკუთვნის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს გიორგი პაპავას, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თსუ-ს პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი და ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ.

პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გაიმართა, რომელსაც თსუ-ს პროფესორი-ეკონომისტები, სტუდენტები და გიორგი პაპავას ოჯახის წევრები ესწრებოდნენ. საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ გიორგი პაპავას კოლეგები, ყოფილი სტუდენტები, რომლებიც ერთხმად აღნიშნავდნენ მის ნიჭიერებას, მაღალ სამეცნიერო ალღოს, ახლის ძიების დაუოკებელ სურვილს, ობიექტურობას, კაცთმოყვარეობასა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებისადმი ყურადღებიან და მზრუნველ დამოკიდებულებას.

პროფესორი გიორგი პაპავა 100-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის, მათ შორის, 15 მონოგრაფიის ავტორი იყო.

სამეცნიერო სფეროში მიღწეული წარმატებებისათვის ბატონ გიორგის მინიჭებული აქვს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობითი სამეცნიერო პრემია, ხოლო მის სახელმძღვანელოს „სამრეწველო საწარმოს ორგანიზაცია, დაგეგმვა და მართვა“ – საქართველოს განათლების სამინისტროს პრემია. სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდასა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის ბატონი გიორგი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ვისაც კი მასთან, როგორც მოწაფესა და თანამშრომელს, შეხება ჰქონია, ყველა ბედს უმადლის და იხსენებს ძვირფას მასწავლებელს, რომელსაც ცხოვრებამ ახალგაზრდობაში დიდი ტრავმა მიაყენა, მაგრამ მაინც ოპტიმისტური განწყობით შექმნა თავისი მრავლისმეტყველი მომავალი.

გიორგი პაპავა დაიბადა ცნობილი ქართველი მეცნიერი ეკონომისტის, ვლადიმერ თადეოზის ძე პაპავას ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს ომში და ტყვედ ჩავარდა. მან საკუთარ თავზე გამოსცადა ომის სიმძიმე თუ გესტაპოს ჯურღმულების სისასტიკე.

გიორგი პაპავას ყოფილი მოწაფე, ამჟამად თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი ეთერ ხარაიშვილი გვიამბობს იმ თოვლის გუნდის ამბავს, რამაც გიორგი პაპავა ტყვეობისას სიკვდილს გამოგლიჯა ხელიდან.

„ჩვენი შეხვედრები ისე არ ჩაივლიდა, მეორე მსოფლიო ომის დროს გავლილი რთული გზა არ გაეხსენებინა. სულგანაბული ვუსმენდი მის მოგონებებს ტყვეობაში ყოფნის დღეებზე, გულისჩამწვდომი იყო მისი მონათხრობი მეგობრისგან გამოწვდილ ხელზე, რომელმაც ტალახიანი თოვლი მიაწოდა სიარულით გათანგულ, შემდეგ კი წაბორძიკებულ და სიკვდილისთვის განწირულ ბატონ გიორგის. როგორც თვითონ დასძენდა – წაქცეულებს გერმანელები ადგილზე ხვრეტდნენ და იქვე ტოვებდნენ. მეგობრისგან მიწოდებული თოვლის პირში ჩადებით კი მან მეორე სუნთქვა შეიძინა, ენერგია დაიბრუნა, სიარული გააგრძელა და სიკვდილს გადაურჩა. აი, ასეთი იყო ბატონი გიორგი: არასოდეს ნებდებოდა და ცხოვრებას ყოველთვის აგრძელებდა, მაშინაც კი, როცა ყველაფერი ძალიან ცუდად იყო“, – ამბობს **ეთერ ხარაიშვილი.**

ომიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი პაპავამ ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1951 წელს. დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, შრომის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანებაში, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემათა კვლევით ინსტიტუტში, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში – ჯერ განყოფილების გამგედ, შემდეგ კი – ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტად.

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲖᲔ ᲒᲐᲮᲛᲘᲐᲜᲓᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲦᲐᲦᲐᲜᲘᲫᲔ, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი:

„1986 წელს მუშაობა დავიწყე სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, სადაც ბატონი გიორგი ამავე ინსტიტუტის ხელმძღვანელი ბრძანდებოდა. ამ ინსტიტუტში ჩემი საქმიანობის განმავლობაში, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი ბატონ გიორგის, ის ხაზგასმულად ცდილობდა არ ეჩვენებინა ეს რანგობრივი განსხვავება. პირიქით, მუდმივად ედგა მხარში ახალგაზრდებს და ხშირად საუბრობდა მათთან, უზიარებდა საკუთარ სამეცნიერო იდეებს... მეც მქონდა ეს ბედნიერება.

ამ ინსტიტუტში საინტერესო პროცესები მიმდინარეობდა, ეს ძალიან პრესტიჟული სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება გახლდათ, სადაც ყოველწლიური ანგარიშების მოსმენა მიმდინარეობდა. სწორედ აქ იყო წარმოდგენილი ბატონი გიორგის ფუნდამენტალური კვლევის შედეგი – მისი ერთ-ერთი, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე ტერმინისა, როგორიც იყო ეკონომიკური სისტემის ორგანიზებულობის ზომა. ამ სემინარებზე კარგად ჩანდა ბატონი გიორგის დამოკიდებულება, ზოგადად, თავისი პროფესიისადმი, რომლის ერთგული იყო“.

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲛᲔᲥᲕᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი:

„მქონდა პატივი სიტყვით გამოვსულიყავი ბატონი გიორგის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებაზე. ჩემი სიტყვა ორ ნაწილად გავყავი. თავდაპირველად ვისაუბრე პროფესორ გიორგი პაპავას სამეცნიერო ღვაწლზე. მას ჰქონდა სამეცნიერო ინტერესების უაღრესად ფართო დიაპაზონი, რომელშიც ორგანულად იყო შერწყმული ემპირიული ანალიზი და თეორიულ-მეთოდოლოგიური კვლევა. იყო ნოვატორი მკვლევარი, რომელმაც შექმნა ეკონომეტრიკის ახალი მიმართულების საფუძვლები. ჩამოაყალიბა ეკონომიკური სისტემის ტექნიკურ-ეკონომიკური და ორგანიზაციული პარამეტრების შემეცნების სრულიად ახალი სისტემური მეთოდოლოგია – „პერიოდანტულ-გენეტიკური მიდგომის“ სახით, რომელიც შეიძლება გამოიყენონ როგორც ფირმების მარკეტინგული მართვის, ისე სახელმწიფო დონეზე ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების (მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების) პროცესში. მისი ორიგინალური ფუნდამენტური მონოგრაფიები – „შერეული საბაზრო ეკონომიკის რეალობის ხარისხის შემეცნების მეთოდოლოგია და პარალოგიზმები“ და „საბაზრო ეკონომიკის გამოჯანსაღების და ნორმალიზაციისთვის საქართველოში“ – დღესაც ინარჩუნებს თეორიულ-მეთოდოლოგიურ მნიშვნელობას.

ჩემს გამოსვლაში, ასევე, ვისაუბრე ბატონ გიორგისთან პირად ურთიერთობაზე. 1978 წელს უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრებისა და ასპირანტურაში ჩაბარების შემდეგ მუშაობა დავიწყე შრომის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. ვიმუშავე განყოფილებაში, რომელსაც გიორგი პაპავა ხელმძღვანელობდა და ბევრი რამ ვისწავლე მისგან, რისთვისაც ძალიან დიდი მადლობელი ვარ. შემდეგ იყო 1990-იანი წლები, სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩვენი ერთად საქმიანობა. იმ დროს ფაკულტეტს ვხელმძღვანელობდი და კარგად მახსოვს – რამდენიმე საათიანი ლექციების წაკითხვის შემდეგ ბატონი გიორგი როგორ მომინახულებდა კაბინეტში (უფრო ხშირად კი მე ვეწვეოდი მას კათედრაზე) და დიდი გატაცებით მიყვებოდა მის ახალ იდეებსა და მიგნებებზე. ბოლოს იგი ვნახე მისი გარდაცვალებიდან ცოტა ხნით ადრე. იმის მიუხედავად, რომ ძალზე არასახარბიელო ფიზიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, სამუშაო კაბინეტში მაგიდაზე წიგნები ჰქონდა გაშლილი. როგორც იტყვიან, „ბოლო ამოსუნთქვამდე“ არ მიუტოვებია თავისი საყვარელი საქმიანობა.

ღონისძიების ფორმატიდან გამომდინარე, ვერ მოვახერხე პროფესორ გიორგი პაპავას მეცნიერულ მემკვიდრეობაზე ვრცელი საუბარი და პირობა მივეცი დამსწრე საზოგადოებას, რომ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელსაც მიმდინარე წლის ოქტომბერში თსუ-ს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი ატარებს, წავიკითხავ მოხსენებას თემაზე: „პროფესორი გიორგი პაპავა – ნოვატორი ქართველი თეორეტიკოსი ეკონომისტი“.

ᲔᲗᲔᲠ ᲮᲐᲠᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი:

„ბატონმა გიორგიმ ჩემს ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა საუნივერსიტეტო საქმიანობის შემეცნებასა და ფასეულობების ჩამოყალიბებაში. ვამაყობ, რომ ასეთი მასწავლებელი მყავდა, მადლიერი ვარ, რომ მისი სიცოცხლის ბოლო დღეებშიდაც კი სულგანაბული ვუსმენდი მის მრავალწახნაგოვან, ცხოვრებისეულ, ფილოსოფიურ და მომნუსხველ მსჯელობას არა მარტო ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ოჯახის ღირებულებებზე, შვილებით განცდილ ფარულ სიამაყეზე.

სიცოცხლის ბოლო დღეებში მასთან სახლში სიარულს მოვუხშირე, ვიცოდი – მცირედით, მაგრამ მაინც შევუმსუბუქებდი აუდიტორიის მონატრებას. ჩვენი საუბრები 2-3 საათი მაინც გრძელდებოდა. თუ მასთან მისვლა ოდნავ შემაგვიანდებოდა, მაშინვე დამირეკავდა, მეტყოდა – ახალი იდეები ჰქონდა სათქმელი ჩემთვის და მეც კალამმომარჯვებული მივუკაკუნებდი კარზე, რათა მომესმინა მისი მომნუსხველი საუბრები. მასთან მისვლა კი მრავალმხრივ იყო საინტერესო – საუბრები ეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური და ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის აქტუალური საკითხების განხილვით იწყებოდა და ყოფითი საკითხებით გრძელდებოდა.

დღესაც თვალნათლივ მახსოვს ბატონი გიორგის გამორჩეულად თბილი და სამაგალითო ურთიერთობები ოჯახის წევრებთან, მათ შორის, მეუღლესთან – სათნოებით სავსე ქალბატონ რუსუდანთან. საუბრების დასასრულამდე 10 წუთით ადრე მის შესანიშნავ მეუღლეს რაღაც მინიშნებას აძლევდა, თან მიაძახებდა: „რუსო, მალე დავასრულებთ შეხვედრასო“ და ქალბატონი რუსუდანიც ტკბილეულით და ჩაით აუცილებლად გაგვიმასპინძლდებოდა.

დიდბუნოვნება, უჩვეულო კაცთმოყვარეობა, შრომის განსაკუთრებული უნარი, მიმტევებელი – ასეთი უნდა იყოს ჭეშმარიტი მოძღვარი. დიახ, ყველა ამ თვისების მატარებელი გახლდათ პროფესორი

გიორგი პაპავა. ბატონი გიორგი პირადად მე არ მიკითხავდა ლექციებს, მაგრამ ჩემი შვილის საუკეთესო ლექტორი იყო. სტუდენტებთან ყოველთვის გამორჩეულად თბილი და ახლობლური დამოკიდებულება ჰქონდა“.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲐ

გიორგი პაპავა თსუ-ს პროფესორის, აკადემიკოს **ლადო პაპავას** მამა გახლავთ. ერთხელ ერთ კაცს გიორგი პაპავასთვის უთქვამს – ლადომ გაჯობაო, როცა იგი საქართველოს ეკონომიკის მინისტრი გახდა. ამ კომენტარის თაობაზე გიორგი პაპავამ პროფესორ ეთერ ხარაიშვილს მოუთხრო და ასეთი რამ უთქვამს: „ლადო მაშინ მაჯობებს, როცა ჩემზე უკეთეს შვილს გაზრდისო“.

„პროფესორ გიორგი პაპავას შვედეთში გამოცემულ მსხვილტანიან ფუნდამენტურ მონოგრაფიას შემდეგი ეპიგრაფი ამშვენებს: „ვუძღვნი მამის, მეცნიერ-მკვლევართა ოჯახური დინასტიის დამაარსებლის – ვლადიმერ თადეოზის ძე პაპავას ხსოვნას“. ვლადიმერ პაპავა (უფროსი) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის დოცენტი გახლდათ. ჭეშმარიტად, პაპავების სახელოვან სამეცნიერო ტრადიციას ღირსეული გამგრძელებელი ჰყავს ცნობილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტის, თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, რამდენიმე სამეცნიერო პრემიის ლაურეატის ვლადიმერ (ლადო) პაპავას სახით, რომლის სამეცნიერო დამსახურება სათანადოდაა აღიარებული საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ“, – ამბობს პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი.

„დარწმუნებული ვარ, პაპავების მეცნიერთა დინასტია კვლავ დიდხანს გააგრძელებს სიცოცხლისუნარიანობას, რადგან მათი სამეცნიერო მოღვაწეობა და შემოქმედებითი საქმიანობა დღესაც საზოგადოების, ასევე, შთამომავლებისათვის შთაგონების წყარო და აღფრთოვანების მაგალითია“, – აღნიშნავს პროფესორი ეთერ ხარაიშვილი.

სწორედ ამ წერილზე მუშაობის დროს გახდა ჩვენთვის ცნობილი, რომ ლადო პაპავას ვაჟი – **გიორგი პაპავა**, რომელიც ბაბუის სახელს ატარებს, რეფორმეტრის სტუდენტური ბლოგების კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა. იგი თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი გახლავთ. მისი სტუდენტური ბლოგი გადახდისუუნარობის რეფორმას ეხება. ასე რომ, უმცროს გიორგი პაპავას ჯერ კიდევ წინ აქვს ცხოვრების გაკვეთილები გასავლელი, რათა წინა თაობის მჯობნის მჯობნი პაპავების დინასტიას არ დაელიოს...

ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ ᲗᲡᲣ-ᲨᲘ

ბავშვების სასიამოვნო ჟრიამული ისმოდა 1 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, რომელიც თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ორგანიზებით, თსუ-ს ბიბლიოთეკისა და თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტის ჩართულობით, საქართველოს კალიგრაფთა ასოციაციასთან თანამშრომლობით გაიმართა. ამ დღის აღნიშვნა უნივერსიტეტში უკვე ტრადიციად იქცა, რომელსაც უნივერსიტეტის თანამშრომელთა ბავშვები ესწრებიან და სხვადასხვა გასართობ ღონისძიებაში იღებენ მონაწილეობას.

მთარგმნელმა ია კოშორინაძემ ბავშვები მერი პოპინსის სამყაროში ამოგზაურა, მოუთხრო საყვარელი გმირის ჯადოსნური თავგადასავლები. ბავშვები სულგანაბული უსმენდნენ ჰუმანიზმით გაჯერებული ნაწამოების შესახებ საუბარს და მთხრობელს „არაბავშვურ“ შეკითხვებს უსვამდნენ.

მთარგმნელთან შეხვედრის შემდეგ ბავშვებმა თსუ-ს მეორე კორპუსში გადაინაცვლეს, სადაც ნორჩ ქიმიკოსებთან ერთად სახალისო ცდები ჩაატარეს, არქეოლოგიურ კუთხეში სხვადასხვა ისტორიული ნივთების და არტეფაქტების აღმოჩენით დაკავდნენ, მონაწილეობა მიიღეს ხატვისა და კალიგრაფიის მასტერკლასში და, უბრალოდ, კარგად გაერთნენ. ბავშვებს 1 ივნისი თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამაც მიულოცა, რომელმაც ბავშვების სიხარული და აღტაცება გულწრფელად გაიზიარა.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

■ ცოტა ხნის წინ ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარდა „სტუდენტური ბლოგების კონკურსი“, რომელშიც ISET-ის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტებმა **გიორგი პაპავამ** და **ანა ტერაშვილმა** გაიმარჯვეს. „სტუდენტური ბლოგების კონკურსში“ მონაწილეობის სურვილი საქართველოს 6 სხვადასხვა უნივერსიტეტის 37-მა სტუდენტმა გამოთქვა.

■ „უზბეკეთს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ცენტრალურ აზიაში. ზოგადად, ქართულ საზოგადოებაში სისტემური პოლიტიკური ანალიზის დეფიციტია, ამიტომაც გადავწყვიტე ამ საკითხის კვლევა“, – ამბობს თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტი **თამარ ბიბიჩაძე**, რომელიც სტუდენტური კონფერენციის – „გეოპოლიტიკური ანომალია“ – გამარჯვებული გახდა.

■ **თსუ ფუტსალის ლიგა 2-ის ჩემპიონია!** გადამწყვეტ ფინალურ მატჩში ჩვენმა გუნდმა ქუთაისი 4:0 დაამარცხა. კალათბურთში საქართველოს ჩემპიონობიდან 5 დღეში თსუ-ის ფუტსალის გუნდი ლიგა 2-ის ჩემპიონი გახდა

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ნინო კაკულია
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲠᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ
მაია ტორაძე
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ეკა ბედიაშვილი

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ
თორნიკე ჩხეტიანი
ᲙᲝᲛᲞ. ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ
მიხეილ თვარაძე

ᲠᲔᲓᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ:
მანანა შამილიშვილი,
იაგო კაჭკაჭიშვილი,
ირმა რატიანი,
ირინე დარჩია,
ვლადიმერ პაპავა,
ეთერ ხარაიშვილი,
ეკატერინე ფირცხალავა,
ნინო გაჩეჩილაძე,
თემურ ნადარეიშვილი,
ლელა ჯანაშვილი,
მაია ივანიძე,
მამუკა მარგველაშვილი,
გია ლობჟანიძე,
ნინო უგრეხელიძე,
მარინა სალუქვაძე

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
577 52 77 73

ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲘ:
tsu.media

ᲔᲚ.ᲤᲝᲡᲢᲐ:
nino.kakulia@tsu.ge

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ“ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲑᲔᲭᲓᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ.

ᲔᲬᲕᲘᲔᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲡ
tsu.media

ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲔᲗ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲡᲐᲛᲣᲥᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲪᲜᲘᲗ ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲝ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲔᲑᲡ